კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ანა მენათვირე

სასამართლო მედიაცია თანამედროვე ქართული სამართლის მიხედვით

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი - ნანა ყურუა

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

კერძო სამართლის სპეციალობით

თბილისი

2019

ანოტაცია

საზოგადოების განვითარებასთან ერთად აქტუალური ხდება ისეთი ინსტისუტის შექმნა, რომელიც თანამედროვე საზოგადოებას დაეხმარება დარღვეული უფლებების აღდგენის სწრაფი და ეფექტური გზების მოძიებაში და რაც მთავარია ორივე მხარისათვის მისაღები შეთანხმების მიღწევაში. ყოველდღიურად იზრდება ადამიანების მიერ კონსტიტუციით მინიჭებული უფლების გამოყენება, კერძოდ ძალიან დიდია მიამრთვიანობა სასამრთლოში, შესაბამისად გადატვირთულია სასამართლო სტრუქტურა და ადამიანის მიერ დაწყებული დავა დარღვეული უფლების აღდგენის თაობაზე დიდ დროს მოითხოვს. მნიშვნელოვანია, ასევე ის ფაქტი, რომ ქართული საზოგადოება ოდითგანვე ტრადიციულ ურთიერთობებზე დამყარებულ საზოგადოებას წარმოადგენს.

სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე ნაშრომში განხილული და მოკვლეული იქნება მედიაციის როლი, მისი მნიშვნელობა, წარმოშობისა და განვითარების ისტორია, მედიაციასთან დაკავშირებული სუსტი და ძლიერი მხარეები, საკანონმდებლო ხარვეზები, რომელიც უნდა დაიხვეწოს და კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით უფრო მეტად დაკონკრეტდეს და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რომელიც უფრო მეტ ეფექტურობას შესძენს სასამართლო მედიაციის გამოყენებას ქართულ სამართალწარმოებაში.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს სასამართლო მედიაციის, როგორც დავის გადაწყვეტის ერთ-ერთი ალტერნატიული საშუალების უპირატესობის წარმოჩინება, არსებული საკანონმდებლო ხარვეზების თაობაზე რეკომენდაციების შემუშავება და გაცნობა საზოგადოებისათვის.

ანა მენაფირე

Ana Menafire

Judicial mediation by modern Georgian law

Annotation

Together with the development of the society, it is important to create such an institution, that will help modern society to find the fast and effective ways of restoring violated rights and most importantly, to reach an agreement acceptable for both parties. Every day, people are allowed to use the rights granted by the Constitution, In particular, people are applying to the court very often. Accordingly, the court structure is overloaded and the dispute started by man requires a lot of time on the restoration of the violated rights. It is also important that the Georgian society is a society based on traditional relations from time immemorial.

Based on the above mentioned, the role of mediation will be examined and investigated in the present work, its importance, origin and development history, the weak and strong sides of mediation, legislative shortcomings that need to be improved and specified on specific issues and other important issues that will be more efficient in the use of judicial mediation in the Georgian legal proceedings.

The aim of the work is to demonstrate the advantage of judicial mediation as one of the alternative means of dispute settlement, develop and introduce recommendations on existing legislative deficiencies to the public.

სარჩევი

შესავალი 7

თავი I. მედიაციის განმარტება და მისი არსი 8

1.1. მედიაციის განმარტება 8

1.2. მედიაციის არსი 8

1.3.მედიაციის პრინციპები 9

1.4. მედიაციის სუსტი და ძლიერი მხარეები 14

თავი II. მედიაციის ინსტიტუტი ქართულ სამართალში, მისი წარმოშობისა და განვითარების ისტორია 21

2.1. მედიაციის ინსტიტუტის არსებობა ქართულ ჩვეულებით სამართალში 21

2.2. მედიაციის ინსტიტუტის არსებობა ქართულ თანამედროვე სამართალში 23

თავი III. სასამართლო მედიაციის როლი ქართული სასამართლო მედიაციის განვითარების პროცესში 30

3.1. სასამართლო მედიაციის არსი და მნიშვნელობა 30

3.2. სასამართლო მედიაციის სუსტი და ძლიერი მხარეები 30

3.3. სასამართლო მედიაციას დაქვემდებარებული დავები 34

3.4. სასამართლო მედიატორი და მისი აცილება 36

3.5. სასამართლო მედიაციის ვადები და მისი მნიშვნელობა 38

3.5.1. სასამართლო მედიაციის ხარჯები 39

3.5.2. სასამართლო მედიაციის დასრულების პროცესი და პროცესის კონფიდენციალურობა 40

თავი IV. სასამართლო მედიაცია ევროპის ზოგიერთი ქვეყნის მაგალითზე

4.1. სასამართლო მედიაცია ევროპის ზოგიერთი ქვეყნის მაგალითზე ……43

დასკვნა 55

გამოყენებული ლიტერატურა 58

შესავალი

საზოგადოებას განვითარებასთან ერთად სჭირდება თანამედროვე სამყაროზე მორგებული კანონები, რომელიც ეფექტური იქნება ნებისმიერი საკითხის მოსაგავარებლად. თანამედროვე საზოგადოებაში დროის სწორად გამოყენება მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს, ამიტომ კანონმდებელმა უნდა გაითვალისწინოს ეს მოთხოვნები და ეძიოს ისეთი გზები, რომელიც დააჩქარებს სამართლიანობის აღდგენას, ისე, რომ ადამიანებმა შეძლონ ცივილური ურთიერთობის ფარგლებში სასურველი შედეგის მიღწევა.

მედიაცია მნიშვნელოვანი ინსტიტუტია, რომელიც ქართული საზოგადოებისათვის ახალი, მაგრამ ამავდროულად ნაცნობი საკითხია. ქართული სამართალი ოდითგანვე ურთიერთობასა და ტრადიციაზე დამყარებულ სამართალს წარმოადგენდა და მნიშველოვანი იყო კონფლიქტის მონაწილე მხარებს შეენარჩუნებინათ არსებული მეგობრული თუ ნათესაური კავშირები.[1] სწორედ მოლაპარაკების გზით ხდებოდა სადაო საკითხების გადაწყვეტა.[2] აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა ისეთი ინსტისუტის ჩამოყალიბება, რომლებიც კონფლიქტში მონაწილე მხარეებს დაეხმარება მიიღონ სასურველი შედეგი ისე, რომ ორივე მხარე კმაყოფილი იყოს მიღწეული შეთანხმებით.

---

[1] ოსტერმილერი მ. ს., სვენსონი რ. დ., დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, მერიდიანი, თბილისი 2014. 134.

[2] საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის იურიდიული ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, N4(39)13, თბილისი 2013, 26-27.

მედიაციის ინსტიტუტის როლის გაძლიერება მნიშვნელოვნად წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს ქართულ სამართალწარმოებაში. აუცილებელია გაიზარდოს მედიაციის პოპულარიზაცია და გამახვილდეს მის დადებით მხარეებზე ყურადღება. კონფლიქტის მხარეებმა უნდა იცოდნენ, რომ არსებობს დავის გადაწყვეტის ისეთ ალტერნატიული გზა, როგორიცაა მედიაცია და მათ შორის სასამართლო მედიაცია, რომელიც მათი კონფლიქტის მოგვარების ეფექტური და სწარაფი საშუალება იქნება. რაც უფრო მეტად მოხდება სასამართლო მედიაციისათვის გადასაცემი საქმეების ნუსხის დახვეწა და ჩამონათვალის გაზრდა, განიტვირთება სასამართლო სტრუქტურა და უფრო ეფექტური გახდება სასამართლოს მუშაობა, ხოლო მხარეები, რომლებიც სასამართლოს გზით ცდილობენ ჭეშმარიტების დადგენას ან დარღვეული უფლების აღდგენას დროულად მიიღებენ მათთვის სასურველ შედეგს. [3]

მედიაციის გამოყენების სიხშირემ უნდა გამოკვეთოს არსებული ხარვეზები, რომლის წინაშე მხარეები შეიძლება დადგენ დავის გადაწყვეტის პროცესშიც და აღსრულების პროცესშიც. მნიშვენლოვანი, ასევე, არის ის, რომ მხარეები მედიაციის გზით შეუთანხმებლობის შემთხვევაში არ კარგავენ უფლებას სასამართლოს მეშვეობით გადაწყვიტონ სადაო საკითხი.

სწორედ ამიტომ, წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომში მოკვლეული და განხილული იქნება ზოგადად მედიაციის და კონკრეტულად სასამართლო მედიაციასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები.

კვლევის მიზანი და მეთოდი: კვლევის მიზანს წარმოადგენს სასამართლო მედიაციის უპირატესობის წარმოჩინება, არსებული საკანონმდებლო ხარვეზების შესწავლა და რეკომენდაციების შემუშავება. ნაშრომის კვლევისას გამოყენებული იქნება სხვადასხვა კვლევის მეთოდი, კერძოდ: კომპარატივისტიკის, სისტემური ანალიზის, შედარებითი, ინდუქციური და დედუქციური მეთოდები.

---

[3] დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, ,,მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში'' თბილისი 2013, 63.

სასამართლო მედიაციის ინსტიტუტის სიახლიდან გამომდინარე საკვლევი თემა ჯერ კიდევ შესწავლის პროცესშია, თუმცა არსებობს ბევრი სტატია და ნაშრომი ზოგადად მედიაციისა და სასამართლო მედიაციის ირგვლივ. რაც უფრო მეტად მოხდება თემის შესწავლა და გამოკვლევა და მისი აქტუალურობის გაზრდა, მით უფრო მეტი სუსტი და ძლიერი მხარე გამოიკვეთება აღნიშნული ინსტიტუტის ირგვლივ.

წინამდებარე ნაშრომი მოიცავს ანოტაციას, შესავალს, ძირითად ტექსტს და დასკვნას. ნაშრომი შედგება ოთხი თავისაგან. ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა. ნაშრომი შედგება 61 გვერდისაგან.

თავი I. მედიაციის განმარტება და მისი არსი

1.1. მედიაციის განმარტება

მედიაციის ინსტიტუტის არსებობა წინ გადადგმული ნაბიჯია თანამედროვე საზოგადოებისათის. მედიაცია ნიშნავს, რომ დაპირისპირებულ მხარეებს აქვთ შესძლებლობა კომპეტენტური პირის დახმარებით აღმოფხვრან არსებული პრობლემა და ერთად მიაგნონ პრობლემის მოგვარების გზებს, რომელიც ყველაზე მისაღები და ხელსაყრელი იქნება ორივე მხარისათვის.[4]

მედიაცია მხარეებს ეხმარება ქონდეთ ერთმანეთთან კავშირი და მოლაპარაკების მეშვეობით უფრო ნაკლებ დროში მიაღწიონ სასურველ და მათთვის ხელსაყრელ შედეგს. ამასთანავე მნიშვნელოვანია, რომ თავად მედიაციის პროცესი ნაკლებ დანახარჯებთან არის დაკავშირებული. აუცილებელია საზოგადოებამ იცოდეს, რომ შესაძლოა მხარისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე დავა გადაწყდეს მედიაციის საშუალებით და ისეთი გადაწვეტილება იქნეს მიღებული, რომელიც მათ მისცემს შესაძლებლობას მიაღწიონ ყველაზე მისაღებ შედეგს.

1.2. მედიაციის არსი

[4] დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, ,,მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში'' თბილისი 2013, 12.

მედიაცია არის მხარეებს შორის მოლაპარაკების შედეგად მიღწეული შეთანხმება. მედიაციის მთავარი არსი არის ის, რომ მოხდეს შეთანხმება მხარეებს შორის წარმოშობილი კონფლიქტის ორივე მხარისათვის სასარგებლო შეთანხმებით. მედიაციის პროცესს წარმართავს ნეიტრალური პირი - მედიატორი. კომპეტენტური და ნეიტრალური პირის მონაწილეობა მნიშვნელოვანია მეიდაციის პროცესში.[5] შესაძლებელია, რომ სასამართლო დავამ გაამწვავოს მხარეებს შორის არსებული კონფლიქტი და მხარეები ერთმანეთს უფრო დააპირისპიროს. მედიაციის საშუალებით კი ხდება ისეთი მეთოდების გამოყენება, რომელიც უზრუნველყოფს მხარეებს შორის არსებული კონფლიქტის მოგვარებას, ისე, რომ მათ შეინარჩუნონ ის სოციალური თუ საქმიანი ურთიერთობები, რაც მხარეთა შორის არსებობდა.[6] მედიაციის არსებობის მთავარი არსი არის ის, რომ მხარეები მედიაციის პროცესში მედიატორის დახამრებით ცდილობენ შეთანხმდენ, ისე რომ ეს მათთვის იყოს მისაღები. სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს კი, ერთი მხარე ყოველთვის უკმაყოფილო რჩება და სურვილი აქვს, კვლავ გააგრძელოს დავა სასამართლოში და მიიღოს მისთვის სასურველი შედეგი. აღნიშნული იწვევს დროის ფუჭად კარგვას, მაშინ, როდესაც შესაძლებელია ეს ყველაფერი დამთავრდეს მარტივად მოკლე დროში და იმ შედეგით, რომელიც ორივე მხარისათვის მისაღებია.[7]

საბოლოო ჯამში მედიაციის პრაქტიკაში გამოყენების დამკვიდრება წარმოშობს მხარეების მიერ ნდობას, რომ მათ შეუძლიათ მოკლე დროში და კომპეტენტური პირის დახმარებით, მოიძონ მახარეებს შორის წარმოშობილი პრობლემების მოგვარების გზები და შეთანხმდენ.

1.3.მედიაციის პრინციპები

---

[5] ცერცვაძე გ., მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა(ზოგადი მიმოხილვა), თბილისი 2010, 27.

[6] წულაძე ა., ,,სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში''. სადისერტაციო ნაშრომი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი; სამეცნიერო ხელმძღვანელი ცერცვაძე გ., თბილისი 2016, 16.

[7] http://www.jtconsulting-geo.com/service/mediacia/23 ბოლო ნახვა 2019.6.22.

სამართალში მნიშვნელოვანია არსებობდეს სახელმძღვანელო პრინციპები, რომელიც დაეხმარება პროცესში მონაწილე პირებს განუხრელად დაიცვან არსებული პირინციპები და მათ არ გადაუხვიონ. მედიაციის პროცესში, როგორც ზოგადად სამართალში არის დამკვიდრებული პრინციპები და ამ პრინციპების დაცვა მნიშვნელოვანია, რადგან საზოგადოებას ჰქონდეს ნდობა, რომ მისი შელახული უფლების აღსადგენად ბრძოლას აზრი აქვს და ამ პროცესში ყველა სტრუქტურის თუ პირის მიერ მოხდება პრინციპების განუხრელად დაცვა, თუმცა იმასაც უნდა ითვალისწინებდეს, რომ გამონაკლის შემთხვევაში შესაძლოა მოხდეს კონკრეტული პრინციპიდან გადახვევა, თუ ეს ეხება უფრო მნიშვნელოვანი და ღირებული სიკეთის დაცვას. მედიაციის პროცესში გამოყოფენ რამდენიმე პრინციპს, რომელთა არსებობამაც მხარეების ნდობა უნდა განაპირობოს.[8] მედიაციის პრინციპებია: კონფიდენციალურობა, ნებაყოფლობითობა (კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა) მხარეთა თანასწორობა, მიუკერძოებლობა, კეთილსინდისიერება.[9]

კონფიდენციალურობის პრინციპის არსებობა განაპიროებს მხარეთა ნდობას ამ ინსტიტუტის მიმართ. მხარეებს აქვთ ნდობა იმისა, რომ მოლაპარაკების პროცესში განხილული ნებისმიერი საკითხი არ იქნება გამჟღავნებული არც მედიატორის და არც მხარის მიერ. აღნიშნული პრინციპის არსებობა და მისი დაცვა მნიშვნელოვანია მედიაციის პროცესისათვის, როდესაც მხარემ იცის, რომ მორიგების კრახით დასრულების შემთხვევაში არც მედიატორს და არც მეორე

[8] ცერცვაძე გ., მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა(ზოგადი მიმოხილვა) თბილისი 2010, 34.

[9] ყანდაშვილი ი., - საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები. სადისერტაციო მონოგრაფიული კვლევა, შედარებითი ანალიზი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი; სამეცნიერო ხელმძღვანელი ძლიერიშვილი ზ., თბილისი 2018, 65.

მხარეს არ შეეძლება გამოიყენოს მის წინააღმდეგ მედიაციის პროცესში[10] გამჟღავნებული ინფორმაცია.[11]

კონფიდენციალურობის პრინციპის არსებობამ რიგ შემთხვევაში შესაძლოა ითამაშოს გადამწყვეტი როლი, რომ მხარე დათანხმდეს მედიაციის გზით საკითხის გადაწყვეტას, რადგან მისთვის მნიშვნელოვანია საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილება არ გახმაურდეს. მხარისთვის ნებისმიერ დროს მნიშვნელოვანია ნდობაზე დამყარებული ურთიერთობა, ნდობას კი განაპირობებს, ის, რომ მის მიერ ნათქვამი ნებისმიერი ინფორმაცია არ იქნება გამჟღავნებული მიუხედავად, იმისა თუ როგორ დასრულდება მედიაციის პროცესი. [12]

ამასთანავე მნიშვნელოვანია, რომ მხარეს მედიაციის პროცესის დაწყებადე ჰქონდეს ინფორმაცია, იმის თაობაზე, თუ როდის და რა შემთხვევაში შეიძლება მოხდეს კონფიდენციალურობის პრინციპიდან გადახვევა. ეს უფრო გაამყარებს მათ ნდობას მედიაციის პროცესის [13]მიმართ. [14]

ნებაყოფლობითობის პრინციპი მნიშვნელოვანია მხარეთა მიერ შეთანხმების მიღწევის ნებისმიერ ეტაპზე. მხარეთა ნება განაპირობებს, რომ ისინი გამოთქვამენ მზადყოფნას მოლაპარაკების გზით მივიდნენ მათთვის სასურველ შედეგამდე.

როდესაც არსებობს მხარეთა ნება უფრო მარტივად მისაღწევია მათთვის სასურველი გზების მოძიება და პრობლემის მოგვარება. მათ გააზრებული აქვთ ნაბიჯი, რომელიც გადადგეს და გამოთქვამენ მზადყოფნას აწარმოონ

---

[10] წულაძე ა., ,,სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში''. სადისერტაციო ნაშრომი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი; სამეცნიერო ხელმძღვანელი ცერცვაძე გ., თბილისი 2016, 131.

[11] ,,მედიაციის შესახებ'' კანონის პროექტი, მუხლი 10.

[12] დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, ,,მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში'' თბილისი 2013, 24-25.

[13] Alan, Scott, Rau; Enward, F. Sherman; Scott, Peppet; Processes of dispute resolution the role of lawyers, fourth edition, 2006, p. 407.

[14] დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, ,,მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში'' თბილისი 2013, 25.

ერთმანეთთან მოლაპარაკება კომპეტენტური პირის დახმარებით. ასევე ნებაყოფლობითობის პრინციპის ფარგლებში მათ საშუალება აქვთ მედიაციის ნებისმიერ ეტაპზე უარი თქვან მოლაპაკებაზე.[15] ადამიანის ნება ზოგადად მნიშვნელოვანი ფაქტორია ნებისმიერ საკითხზე ჭეშმარიტების დასადგენად. ნება არის გამომხატველი, იმისა, რომ გამოთქვამ მზადყოფნას მიიღო მოლაპარაკებაში მონაწილეობა და შენი უშუალო ჩართულობით მიხვიდე სასურველ შედეგამდე. ნებაყოფლობითობის პრინციპის სწორად აღქმა და გააზრება უნდა მოხდეს მხარეების მიერ. მათ, მხოლოდ იმიტომ არ უნდა გამოხატონ ნება, რომ არ დაკარგონ მათთვის სასარგებლო გადაწყვეტილების გამოტანის შანსი. მათ უნდა გაიზარონ, რომ ნების გამოვლენის შემთხვევაში მივიდენ, ისეთ გადაწყვეტილებამდე, რომელიც ორივე მხარისათვის სასარებლო და შედეგის მომტანი იქნება, წინააღმდეგ შემთხვევაში ნებაყოფლობთობის პრინციპი დაკარგავს თავის არსს.

მხარეთა თანასწორობის პრინციპი მნიშვნელოვანი პრინციპია, რომელიც გულისხმობს, რომ ნებისმიერ მხარეს შეუძლია იყო მორიგების პროცესის ინიციატორი. თანსწორობა გამოიხატება იმაში, რომ ორივე მხარის ნება არის საჭირო მედიაციის პროცესის დასაწყებად. მხარეები თანაბრად იღებენ მონაწილეობას მედიატორის შერჩევის პროცესში. თანაბრად შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა მოლაპარაკების მიმართულების განსაზღვრაში. თანაბრად აქვთ შესაძლებლობა მოლაპარაკებაში მიიღონ მონაწილეობა, როგორც უშუალოდ თვითონ, ისე წარმომადგენლის მეშვეობით, ასევე, მიიღონ გადაწყვეტილება მედიაციის დასრულების თაობაზე.[16]

---

[15] ყანდაშვილი ი., - საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები. სადისერტაციო მონოგრაფიული კვლევა, შედარებითი ანალიზი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი; სამეცნიერო ხელმძღვანელი ძლიერიშვილი ზ., თბილისი 2018, 70.

[16] ოსტერმილერი მ. ს., სვენსონი რ. დ., დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, მერიდიანი, თბილისი 2014, 262-263.

თანასწორობის პრინციპის არსებობა სამართალს ეხმარება სწორი და მხარისათვის სასარგებლო გადაწყვეტილების გამოტანაში. მხარეები თანასწორად უნდა იყვნენ ჩართული მედიაციის პროცესში, ისინი უნდა იყვნენ საქმესთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით ინფორმირებულები და არ უნდა ქონდეთ იმის განცდა, რომ არათანაბარ მდგომარეობაში იმყოფებიან მეორე მხარესთან. [17]

მიუკერძოებლობის პრინციპი გულისხმობს, რომ პირი, რომელიც მონაწილეობას იღებს მედიაციის პროცესის წარმართვაში უნდა იყოს ნეიტრალური, რაიმე ნიშნით არ უნდა განასხვავოს პროცესში მონაწილე მხარეები. თანაბრად უნდა დაიცვას მათი ინტერესები, მოიძიოს და შესთავაზოს მხარეებს მოლაპარაკების ისეთი გზები, რომელიც თანაბრად გაითვალისწინებს მათ ინტერესებს და არ იქნება რომელიმე მხარის სასარგებლოდ მოძიებული.[18] აღნიშნული პრინციპის დაცვა მნიშვნელოვანია, რადგან მხარეებს უნდა ჰქონდეთ იმის გარანტია და განცდა, რომ მედიატორი მათ თანაბრად ეხმარება და არ არის რომელიმე მხარის ინტერესების განსაკუთრებულად დამცველი.[19]

მიუკერძოებლობის პრინციპის არსებობა მხარეებისათვის მეტი ნდობის განმსაზღვრელია. ისინი თუ დაინახავენ, რომ მედიაციის პროცესის წარმმართველი პირი თანაბარ პირობებში აყენებს ორივე მხარეს და არ არის რომელიმე მხარის მიმართ დადებითად განწყობილი ან/და უპირატესობას ანიჭებს მისი ინტერესების დაცვას უფრო მეტად ჩაერთვებიან პროცესში. პროცესის მიმართ ნდობა კი

---

[17] ყანდაშვილი ი., - საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები. სადისერტაციო მონოგრაფიული კვლევა, შედარებითი ანალიზი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი; სამეცნიერო ხელმძღვანელი ძლიერიშვილი ზ., თბილისი 2018, 115.

[18] ჩიტაშვილი ნ., მედიაციის ეთიკის რეგულირების ფარგლები და ეთიკის სტანდარტით ბოჭვის ადრესატები, სამართლის ჟურნალი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, #1, 2016, 32.

[19] ყანდაშვილი ი., - საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები. სადისერტაციო მონოგრაფიული კვლევა, შედარებითი ანალიზი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი; სამეცნიერო ხელმძღვანელი ძლიერიშვილი ზ., თბილისი 2018, 79-80.

მედიაციის ინსტიტუტის ქართულ რეალობაში დამკვიდრების საუკეთესო საშუალებაა.

კეთილსინდისიერების პრინციპი გულისხმობს, რომ მედიაციის პროცესში მონაწილე პირებმა უნდა დაიცვან ინფორმაციის კონფიდენციალურობა, არ გაამჟღავნონ ინფორმაცია, რომელსაც მნიშვნელობა ექნება მედიაციის პროცესისათვის, არ დამალონ მათ მიერ მოძიებული ან მათ ხელთ არსებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია, ასევე, იყვნენ ერთმანეთთან გულწრფელნი და გულისხმიერნი. მხარეები ვინაიდან თავად გამოთქვამენ სურვილს მედიაციის მეშვეობით კონფლიქტის მოგვარების თაობაზე, მათთვის პრიორიტეტული უნდა იყოს, რომ იმოქმედებენ კეთილსინდისიერების პრინციპის ფარგლებში. მედიაციის პროცესის წარმართვის დროს მნიშვნელოვანია არა მხოლოდ დაპირისპირებული მხარეების მიერ კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვა, არამედ პროცესის წარმმართველი პირის მხრიდან ანუ მედიატორის მხრიდანაც დაცული უნდა იყოს მითითებული პრინციპი. მედიატორმა სწორად და გააზრებულად უნდა შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები და იყოს კეთილსინდისიერი მისი საქმიანობის შესრულების დროს.[20] მედიატორის როლი და მასზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების ზედმიწევევნით შესრულება განაპირობებს მედიაციის პროცესის მშვიდად და ძირითად შემთხვევებში დადებთი შედეგით დასრულებას.

საბოლო ჯამში შესაძლებელია ითქვას, რომ მნიშვნელოვანი და განსაკუთრებული როლი უნდა ენიჭებოდეს, როგორც მხარეების, ისე მედიატორების მხრიდან პრინციპების დაცვას, რათა გაიზარდოს მედიაციის პრაქტიკაში გამოყენების სიხშირე და მხარეებს მეტი ნდობა ჰქონდეთ მედიაციის გამოყენების გზით მიაღწიონ მათთვის სასურველ შედეგს. პრინციპების უგულებელყოფა კი

[20] ყანდაშვილი ი., - საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები. სადისერტაციო მონოგრაფიული კვლევა, შედარებითი ანალიზი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი; სამეცნიერო ხელმძღვანელი ძლიერიშვილი ზ., თბილისი 2018, 32.

რეგრესისკენ წაიყვანს მოლაპარაკების პროცესს და მომავალში მედიაციის განვითარებას.

1.4. მედიაციის სუსტი და ძლიერი მხარეები

მედიაციის პროცესის პოულარიზაციისათვის და მისი მნიშვნელობის გააზრებისათვის აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს მედიაციის სუსტ და ძლიერ მხარეებზე. საუბრისას ყურადღება გასამახვილებელია მის ნებაყოფლობით და სავალდებულო ხასიათზე. მედიატორის შერჩევის წესზე მის კვალიფიციურობაზე და იმ სტანდარტებზე, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს მედიატორი. მედიაციის პროცესში მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება წარმოადგენს მედიაციის სუსტ მხარეს კერძო მედიაციის შემთხვევაში. მედიაციის ძლიერი მხარე არის მისი ნებაყოფლობითი ხასიათი.[21] ეს მნიშვნელოვანი და ღირებულია, რადგან დავის მონაწილე მხარე, როდესაც იძულების გარეშე საკუთარი ინიციატივით გამოთქვამს სურვილს მორიგებაზე უფრო მეტი შანსი არსებობს, რომ მედიაციის პროცესი დადებითი შედეგით დასრულდეს და მოდავე მხარეებისთვის სასურველი გადაწყვეტილება იქნეს მიღებული.[22] მედიაციის ნებაყოფლობითი ხასიათი აძლევს საშუალებას ორივე მხარეს დაიწყოს, როგორც მედიაციის პროცესი, ასევე, ნებისმიერ სტადიაზე შეწყვიტოს ის და დავა გააგრძელოს სასამართლოსათვის მიმართვის გზით. მედიაცია მოდავე მხარეებს ეხმარება მოლაპარაკებისა და თავისუფალ ნების საფუძველზე მიაღწიონ მათთვის სასურველ შედეგს.[23] მედიაციის დადებით და ძლიერ მხარედ შესაძლოა ჩაითვალოს მედიაციის ხარჯები და პროცესის მიმდინარეობის სიმცირე. მოდავე მხარეების მიერ მედიაციის არჩევის შემთხვევაში ისინი ზოგავენ დროს და ხარჯებს,

---

[21] წულაძე ა., ქართული სასამართლო მედიაციის შედარებითი ანალიზი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი 2017. 14.

[22] Caponi R., „Just Settlement“ or „Just About Settlement“?, Mediated Agreements: A comparative Overview of the Basics, Rabels Zeitschrift, The Rabel Journal of Comparative and International Private Law, Max –Planck-Institute fur auslandisches und internationals Privatrecht, Mohr Siebeck, 79. Jahrgang 2015, 120.

[23] დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, ,,მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში'' თბილისი 2013, 63.

რაც მათთვის უფრო ხელსაყრელს ხდისმედიაციის პროცესს. ხოლო, როდესაც სასამართლოს მეშვეობით ხდება დავის გადაწყვეტა, სასამართლო შეიძლება გაჭიანურდეს და პროცესის დიდ ხანს გაგრძლებამ ზიანი მიაყენოს მხარეთა კანონიერ ინტერესს.[24] მნიშველოვანია , ასევე, ის რომ სასამართლოს გზით დავის შემთხვევაში მხარე იხდის ბაჟს და უწევს ადვოკატის ხარჯების უზრუნველყოფაც, რაც არ არის დაკავშირებული მცირე ხარჯებთან. რაც შეეხება მედიაციის პროცესის მიმდინარეობის ხანგრძლივობას, იგი მკაცრად არის განსაზღვრული, რომელიც საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა გაგრძელდეს, მაგრამ გონივრული ვადით და ეს არ იწვევს პროცესის დიდი დროით გაგრძელებას.[25] კანონმდებლობით დადგენილია მედიაციის პროცესის მინიმალური და მაქსიმალური დროის პერიოდი, რომელზეც შემდგომში უფრო დეტალურად იქნება საუბარი. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი მედიაცია, რომ მოკლე დროში და ნაკლები ხარჯით აღწევ შენთვის ხელსაყრელ და სასურველ მიზანს.[26]

მედიაციის სუსტ მხარეზე საუბრისას აუცილებელია, რომ ყურადღება მიექცეს, მედიატორების შერჩევა/დანიშვნის წესს. დადგენილი კრიტერიუმები, იმისა თუ როგორ ხდება მედიატორის შერჩევა არ არსებობს. მედიაციის შესახებ კანონის პროექტში არის გათვალისწინებული მედიატორის შერჩევის საკითხი მისი შერჩევისას გასათვალისწინებელი გარემოებები, თუმცა პროექტი ჯერ საბოლოოდ არ არის მიღებული. ფაქტობრივად დღეის მდგომარეობით არ არსებობს მედიატორის შერჩევის დადგენილი კრიტერიუმები, რომელიც ძალზედ მნიშვნელოვანი უნდა იყოს მედიატორის შერჩევის დროს, რადგან მედიატორი მნიშვნელოვან და გადამწყვეტ როლს ასრულებს მოლაპარაკების პროცესში. მედიაციის სუსტ მხარეზე საუბრისას ყურადღება აუცილებლად უნდა

---

[24] *Schiffer K.J.(Hrsg),* Mandatspraxis Sciedsverfahren unda Mediation 2. Neu bearbeitete und erweiterte Auflage, "Carl Heymann," Koln, Berlin, Munchen, 2005, 257-262, მითითებულია წიგნში: ცერცვაძე გ., მედიაცია, თბ., 2010, 54.

[25] ჩიტაშვილი ნ., მედიაციის ეთიკის რეგულირების ფარგლები და ეთიკის სტანდარტით ბოჭვის ადრესატები, სამართლის ჟურნალი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, N1, 2016, 37.

[26] ოსტერმილერი მ. ს., სვენსონი რ. დ., დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, მერიდიანი, თბილისი 2014, 138.

გავამახვილოთ მისი აღსრულების წესზე. ეს ეხება კერძო მედიაციას. სასამართლო მედიაციის შემთხვევაში აღსრულების პრობლემა არ დგას, ხოლო კერძო მედიაციის შემთხვევაში ეს პრობლემა ნათლად არის წარმოჩენილი. შეთანხმების აღსრულება დამოკიდებულია მხარეთა კეთილსინდისიერებაზე და მათ თავისუფალ ნებაზე. უბრალოდ პროცესის შედეგიანი მოლაპარაკების გზით დასრულება არ წარმოშობს იმის გარანტიას, რომ მიღწეული შეთანხმება ნამდვილად შესრულდება ორივე ან ერთ-ერთი მხარის მიერ. [27] შესაძლოა დაისვას კითხვა თუ არ იქნება მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში, რა ხდება გარდა იმისა, რომ მხარემ სასამართლოს უნდა მიმართოს დარღვეული უფლების აღსადგენად. აღნიშნული რათქმა უნდა გამოიწვევს დამატებით ხარჯების და დროის დახარჯვას.[28] უნდა არსებობდეს კანონში დათქმა იმისა, რომ მხარემ სასამართლოს კი არ მიმართოს მოლაპარაკების პირობების შესრულების მოთხოვნით, არამედ შემუშავდეს გზები, თუ როგორ უნდა მოხდეს მხარის მიერ შეთანხმებული მოლაპარაკების პირობების იძულებითი აღსრულება სასამართლოსათვის მიმართვის გარეშე. თუ მხარემ აღსრულების მოთხოვნით დაიწყო სასამართლოში საქმის წარმოება ეს გამოიწვევს დამატებით ხარჯების და დროის დახარჯვას. არ არის გათვალისწინებული თუ როგორი წარმოების წესით უნდა იქნეს განხილული ასეთი შემთხვევები. ,,მედიაციის შესახებ'' კანონის პროექტში ნათქვამია, რომ მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების აღსრულების საკითხებს სასამართლო განიხილავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესების შესაბამისად.[29] აღნიშნული კი გულისხმობს, რომ მხარეს ფაქტობრივად თავიდან უწევს პროცესის დაწყება, რადგან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში არ არის განსხვავებული წესი, თუ როგორ და რა ვადაში უნდა განიხილოს სასამართლომ

---

[27] ოსტერმილერი მ. ს., სვენსონი რ. დ., დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, მერიდიანი, თბილისი 2014, 143.

[28] ყანდაშვილი ი., - საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები. სადისერტაციო მონოგრაფიული კვლევა, შედარებითი ანალიზი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი; სამეცნიერო ხელმძღვანელი ძლიერიშვილი ზ., თბილისი 2018, 103.

[29] ,,მედიაციის შესახებ'' კანონის პროექტი მუხლი 13.

სამედიაციო შეთანხმების აღსრულების საკითხი. აღნიშნული საკითხის მოუწესრიგებლობა გამოიწვევს დამატებით ხარჯებს და დროის ფუჭად დაკარგვას მხარეთა მიერ მორიგების პირობების დარღვევის ან შეუსრულებლობის შემთხვევაში, რადგან მხარეებს მოუწევთ, დამატებითი ხარჯების გაღება და პირველ რიგში მოხდება საკითხის შესახებ გადაწყვეტილების მიღების გაჭიანურება. აუცილებელია საკანონმდებლო დონეზე განისაზღვროს კონკრეტული ვადები და პრცედურები თუ როგორ უნდა მოხდეს მითითებული საკითხის განხილვა/გადაწყვეტა. [30]

მედიაციის სუსტ და ძლიერ მხარეზე საუბრისას, ასევე უნდა ვისაუბროთ სასამართლო მედიაციაზე და მის მნიშვნელობაზე. სასამართლო მედიაციისათვის დამახასიათებელია, მისი სავალდებულო ხასიათი.[31] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, საუბარია, რომ დავა შეიძლება გადაეცეს მედიატორს, საკითხის სასურველი შედეგით დასრულების მიზნით.[32] აღნიშნული ხაზს უსვამს მედიაციის სავალდებულო სახეს, რადგან თუ სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ დავა სასამართლო მედიაციის გზით დასრულდეს მხარეების სურვილის მიუხედავად საკითხის განხილვა უკვე იწყება სასამართლო მედიატორთან და მედიაცია უკვე სავალდებულო არის. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს იმ ჩამონათვალს, თუ რა შემთხვევებში ატარებს სასამართლო მედიაცია სავალდებულო სახეს, კერძოდ, მითითებულია კონკრეტული შემთხვევები, როდესაც საკითხი შეიძლება განიხილოს სასამართლო მედიატორმა.[33] რეალურად სასამრთლო მედიაცია ეხმარება მხარეებს, რომ სასურველი შედეგი მიიღონ ნაკლებ დროში და ნაკლები ხარჯებით.[34] მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი საქართველოს სამოქალაქო

---

[30] საქართველოს სამოქალქო საპროცესო კოდექსი თავი XXI[1].

[31] წულაძე ა., ,,სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში''. სადისერტაციო ნაშრომი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი; სამეცნიერო ხელმძღვანელი ცერცვაძე გ., თბილისი 2016, 130.

[32] სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 187[2].

[33] იქვე იხ., მუხლი 187[3].

[34] ცერცვაძე გ., მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა(ზოგადი მიმოხილვა) თბილისი 2010, 10.

საპროცესო კოდექსის თანახმად მედიაცია სავალდებულოა დღეს მდგომარეობით, მას მოსამართლეები მაინც ნებაყოფლობით ხასიათს ანიჭებენ.[35] აუცილებელია, რომ სასამართლომ განჩინება მედიატორისათვის საქმის გადაცემის თაობაზე მიიღოს საქმის სრულყოფილად შესწავლის შედეგად. მხოლოდ ის ფაქტი, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში მითითებულია ჩამონათვალი, როდესაც საქმე შეიძლება გადაეცეს მედიატორს არ არის საკმარისი პირდაპირ მედიაციის პროცესის დასაწყებად. ყოველი შემთხვევა საქმის მედიატორისათვის გადაცემის თაობაზე უნდა შეფასდეს ინდივიდუალურად. შესაძლებელია მხარეებისთვის ყველაზე მისაღები გზა აღმოჩნდეს მედიაცია და ისინი არ წარმოადგენდენ რადიკალურად დაპირისპირებულ მხარეებს, უბრალოდ არ ჰქონდეთ ინფორმაცია სასამართლო მედიაციის არსებობის თაობაზე, მაგრამ შესაძებელია იყოს შემთხვევა, როდესაც მხარეები იმდენად იყვნენ დაპირისპირებული ერთმანეთთან, რომ მედიატორისათვის საქმის გადაცემამ არ გამოიღოს შედეგი ვერ მოხდეს შეთანხმება მათ შორის და საქმე მაინც სასამართლოს მეშვეობით წარიმართოს.

ამასთანავე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სასამართლოს მიერ მედიატორისათვის საქმის გადაცემის შემთხვევაში მხარეს შეუძლია კანონმდებლობით დადგენილ ვადაში მოლაპარაკების მიუღწევლობის შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს სარჩელით. [36] თუ საუბარია, რომ მედიაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა არის დროის სიმცირე და სასამართლო მედიაცია შეიძენს თავის სავალდებულო სახეს კანონში უნდა გაკეთდეს დათქმა, რომ თუ სასამართლოს მედიატორი დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე მიიჩნევს, რომ მხარეებს შორის მოლაპარეკების გაგრძელება უშედეგო და აზრს მოკლებულია, მხარეებს ქონდეთ შესაძლებლობა კანონმდებლობით დადგენილი ვადის გასვლამდეც მიმართონ სასამართლოს. ასევე, შესაძლებელია იყოს გათვალისწინებული გარკვეული

[35] ყანდაშვილი ი., - საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები. სადისერტაციო მონოგრაფიული კვლევა, შედარებითი ანალიზი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი; სამეცნიერო ხელმძღვანელი ძლიერიშვილი ზ., თბილისი 2018, 228.

[36] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი თავი XXI[1]

პროცედურების თანმიმდევრობა, რის შემდეგაც მხარეს, სასამართლო მედიატორის დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე ჰქონდეს შესაძლებლობა საქმე გააგრძელოს სასამართლოს მეშვეობით. არ არის აზრს მოკლებული, ასევე, მოსაზრება, რომ მხარე სასამართლოს მიერ არანებაყოფლობითმა მედიაციამ გააღიზიანოს, გამოიწვიოს მისი პროტესი და მას არ სურდეს მედიატორის მეშვეობით მოლაპარაკების გზების ძიება და ზოგადად თავიდანვე იყოს განწყობილი, რომ არ მიაღწიოს მოლაპარაკებას დაპირისპირებულ მხარესთან.[37]

როგორც, ზემოთ იქნა აღნიშნული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი განსაზღვრას ჩამონათვალს თუ რა შემთხვევაში შეიძლება გადაეცეს საქმე განსახილველად სასამართლო მედიატორს. სასურველია, რომ ჩამონათვალს დაემატოს შრომითი დავების გადაწყვეტის საკითხი,[38] მართალია კოდექსი უშვებს შესაძლებლობას, რომ მხარეების სურვილის შემთხვევაში საკითხი განიხილოს სასამართლო მედიატორმა, მაგრამ როდესაც სასამართლო მედიაცია ნამდვილად შეიძნეს სავალდებულო სახეს და კონკრეტული დავები გადაეცემა სასამართლო მედიატორს. შრომითი დავების ჩამონათვალში მითითება გამოიწვევს, ასეთი დავების სასამართლო მედიატორისათვის გადაცემას და სასამართლო რესურსის დაზოგვას, მის განტვირთვას [39]და უფრო რთული და პრობლემური საკითხების დროულად და ეფექტურად გადაწყვეტას.[40] მნიშვნელოვანია, ასევე, ის გარემოება, რომ საზოგადოების განვითარებასთან

---

[37] ოსტერმილერი მ. ს., სვენსონი რ. დ., დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, მერიდიანი, თბილისი 2014, 143.

[38] წულაძე ა., ,,სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში''. სადისერტაციო ნაშრომი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი; სამეცნიერო ხელმძღვანელი ცერცვაძე გ., თბილისი 2016, 130.

[39] ყანდაშვილი ი., - საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები. სადისერტაციო მონოგრაფიული კვლევა, შედარებითი ანალიზი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი; სამეცნიერო ხელმძღვანელი ძლიერიშვილი ზ., თბილისი 2018, 253.

[40] დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, ,,მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში'' თბილისი 2013, 63.

ერთად, ადამიანები მეტად ცდილობენ დარღვეული უფლების აღდეგნისათვის ბრძოლას და ამ ბრძოლის გზაზე ძალიან ხშირია შრომითი დავები.

საკანონმდებლო დონეზე მედიაციის ინსტიტუტის უფრო მეტად დახვეწა და განვითარება საბოლოო ჯამში, სრულყოფს მედიაციის ინსტიტუტს და უფრო დამაჯერებელს გახდის გარემოებას, რომ მედიაციის გზით მხარეებს შორის მოლაპარაკება ნამდვილად შესაძლებელია. აღნიშნული დაეხმარება მხარეებს დროულად მიიღონ სასურველი შედეგი, ხოლო სასამართლო განიტვირთება, ისეთი საქმეებისაგან, რომელიც შეიძლება გადაწყდეს მედიაციის გზით და შეუწყობს ხელს სასამართლოს მიერ სხვა სახის დავებზე გადაწყვეტილების გამოტანის დაჩქარებას.

თავი II. მედიაციის ინსტიტუტი ქართულ სამართალში, მისი წარმოშობისა და განვითარების ისტორია

2.1. მედიაციის ინსტიტუტის არსებობა ქართულ ჩვეულებით სამართალში

ზოგადად მედიაციის ინსტიტუტი არ არის უცნობი ქართული სამართლისათვის. იგი იყო ცნობილი ქართულ ჩვეულებით სამართალში, მაგრამ არა იმ სახელწოდებით, რომელიც თანამედროვე სამართალში დღეს არის დამკვიდრებული. შესაბამისად სახელწოდება მედიაციის ინსტიტუტი ახალია ქართული კანომდებლობისათვის.

ნებისმიერ საზოგადოებაში, ეს იქნება განვითარებული თუ განვითარების გზაზე მყოფი საზოგადოება ყოველთვის იყო და იქნება დაპირისპირებული მხარეები, შესაბამისად თუ მხარები არიან დაპირისპირებული ერთმანეთან მათ აქვთ დავა, რომელსაც გადაწყვეტა სჭირდება. შესაბამისად განვითარების ნებისმიერ ეტაპზე ყოველთვის არსებობდა პირი, რომლისთვისაც დაპირისპირებულ მხარეებს უნდა მიემართათ. აღსანიშნავი და მნიშვნელოვანი არის, რომ პირი, რომელსაც მხარეები დავის გადაწყვეტას ანდობდნენ უნდა ყოფილიყო გამორჩეული, სამაგალითო და ავტორიტეტული მოდავე მხარეებისათვის, რადგან მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში ეჭვი არავის შეეტანა და უფრო დამაჯერებელი ყოფილიყო მხარეებისათვის.

ისტორიულ წყაროებში გვხვდება მაგ: ბჭე, რჯულის კაცი, მახვში, ხევისბერი და სხვა სახელები. მითითებული სახელები ისეთი მნიშვნელობის მატარებელია, როგორიც აქვს მედიატორს. [41]

ძველ ქართულ სამართალში ,,ბჭედ,, მოიხსენიებოდა პირი, რომელიც იყო მხარეთა შორის არსებული დავის მომგვარებელი. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ სახელმა განიცადა ცვლილება და პირები რომლებიც დავის მომგვარებლებად მოიხსენიებოდნენ ,,მოსამართლედ'' იწოდებოდენ.

დასავლეთ საქართველოში ,,ბჭეს'' მოსამართლის სახელი ეწოდებოდა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში მე-18 საუკუნეში [42] ,,ბჭე'' შეიცვალა და მედიატორის სახელწოდებად.[43]

რაც შეეხება რჯულის კაცი ეწოდებოდა მედიატორ მოსამართლეს ხევსურეთში. მახვში ეწოდებოდა სვანეთში თავკაცს/უფროსს, ხოლო შუამავალი/შუაკაცი ძველ ქართულ მწერლობაში მხარეთა მიერ გამორჩეულ საქმის გამრჩევ/მომგვარებელ პირს ნიშნავდა. გარკვეული პერიოდის გასვლის შემდგომ ამ ტერმინმა სახე იცვალა და გამოიყენებოდა ისეთი პირების მიმართ, რომლებიც დაპირისპირებულ მხარეებს არწმუნებდენ მედიაციის პროცესის მნიშვნელობაზე და ცდილობდენ დაეთანხმებინათ ისინი მედიაციაზე.

მითითებულ ტერმინს განვითარებას დიდი და საინტერესო ისტორია აქვს, მისი მნიშვნელობა განვითარების ყველა ეტაპზე განსხვავებული იყო და სხვადასხვა დატვირთვა ჰქონდა, თუმცა არსობრივად შესაძლებელია ითქვას, რომ იგივე მნიშვნელობის და ფუნქციის მატარებელი იყო, როგორი მნიშვნელობა და ფუნქციაც დღეს აქვს.

---

[41] ტყემალაძე ს., მედიაცია საქართველოში: ტრადიციიდან თანამედროვეობამდე, UNDP Georgia, თბილისი 2016, 14-15.

[42] წულაძე ა., ,,სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში''. სადისერტაციო ნაშრომი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი; სამეცნიერო ხელმძღვანელი ცერცვაძე გ., თბილისი 2016, 121-122.

[43] ტყემალაძე ს., მედიაცია საქართველოში: ტრადიციიდან თანამედროვეობამდე, UNDP Georgia, თბილისი 2016, 14-15.

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული პირი, რომლისთვისაც დაპირისპირებულ მხარეებს შესაძლოა მიემართათ უნდა ყოფილიყო გამორჩეული, სამაგალითო და ავტორიტეტული პიროვნება, რომლის მიმართაც საზოგადოებას ექნებოდა ნდობა და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საეჭვო და სადავო არ გახდებოდა. პირი, რომელიც დასახელებულ ყველა კრიტერიუმს აკმაყოფილებდა და დღესაც აკმაყოფილებს იყო ილია ჭავჭავაძე, რომელიც მომრიგებელ მოსამართლედ 1868 წლის 1 თებერვალს დაინიშნა. მას დიდი როლი მიუძღვის მედიაციის განვითარების პროცესში. ის მედიაციის როლზე და მედიაციის ძლიერ მხარეებზე საუბრობდა თავის სტატიებში და ამით ცდილობდა მედიაციის ინსტიტუტის წარმოჩენას და საზოგადოებისათვის მედიაციის ინსტიტუტის მნშივნელობის გაცნობას. მან გაზეთ ,,ივერიაში'' გამოაქვეყნა ისეთი მნიშვნელოვანი და ღირებული სტატია, როგორიცაა ,,მომრიგებელი სასამართლოების შესახებ', [44] ასევე 1987[45] წელს პუბლიცისტური[46] წერილი ,,მომრიგებელი მოსამართლეობა ჩვენში'' [47] და სხვა.

2.2. მედიაციის ინსტიტუტის არსებობა ქართულ თანამედროვე სამართალში

სასამართლო მედიაციის ინსტიტუტის არსებობა ქყევნისათვის ძალიან მნიშვნელოვანია. სასამართლო მედიაცია 2012 წლის 11 იანვრიდან მოქმედებს საქართველოში. [48] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შევდა ცვლილება 2011 წლის 20 დეკემბერს და სასამართლო მედიაციის XXI[1] თავი

[44] ჭავჭავაძე ი., მომრიგებელი სასამართლოების შესახებ, გაზეთი „ივერია“, #86, 22 აპრილი (სამშაბათი) 1886.

[45] ჭავჭავაძე ი., მომრიგებელი მოსამართლეობა ჩვენში, წერილი მეექვსე, „პუბლიცისტური წერილები“, ტ.IV, გამომცემლობა საბჭოთა საქართველო, თბილისი 1987.

[46] ტყემალაძე ს., მედიაცია საქართველოში: ტრადიციიდან თანამედროვეობამდე, UNDP Georgia, თბილისი 2016, 10-11.

[47] წულაძე ა., ,,სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში''. სადისერტაციო ნაშრომი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი; სამეცნიერო ხელმძღვანელი ცერცვაძე გ., თბილისი 2016, 124-125

[48] ყანდაშვილი ი., მედიაცია-დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ახალი ფორმა საქართველოში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ჟურნალი „ადვოკატი“, N2-3, თბილისი 2016, 115.

დაემატა. ამ ინსტიტუტის შემოღებით ღირებული ნაბიჯები იქნა გადადგმული სასამართლოში საქმეების შემცირება/განტვირთვასთან დაკავშირებით, რომელმაც სასამართლოს მისცა შესაძლებლობა სხვა უფრო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების თაობაზე დროული გადაწყვეტილების მიღების. როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში გათვალისწინებულია დავების ჩამონათვალი, რომელიც შეიძლება გადაეცეს სასამართლო მედიატორს. სასურველია, რომ ამ ჩამონათვალს დაემატოს შრომითი დავები, მართალია კოდექსი უშვებს შესაძლებლობას მხარეთა შეთანხმებით სასამართლო მედიატორმა განიხილოს ნებისმიერი საკითხი, მაგრამ შრომითი დავების სიმრავლიდან გამომდიანრე უმჯობესია თავიდანვე იყოს განსაზღვრული აღნიშნული საკითხი. თან შრომით დავებს აქვს სპეციფიკური ხასიათი და მისი მედიაცის გზით მოგვარება უფრო ეფექტური და დროული იქნება ვიდრე [49] სასამართლოს მეშვეობით.[50]

რაც შეეხება შესაძლებლობას, რომ მხარეთა შეთანხმებით სასამართლო მედიატორმა განიხილოს ნებისმიერი საკითხი, საქმის ნებისმიერ სტადიაზე კარგი შესაძლებლობაა მხარებისათვის პროცესის დროს მიხვდენ, რომ მშვიდობიანი მოლაპარაკება უფრო ეფექტური და შედეგიანი იქნება შეთანხმების მიღწევისათვის და მიიღონ გადაწყვეტილება დაიწყონ მედიაციის პროცესი. ამავე დროს აღნიშნული დებულების არსებობამ შესაძლებელია ხელი შეუშალოს სასამართლოში საქმის შემსუბუქების პოლიტიკას და სხვა საქმეებზე დროული და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესს, თუ მხარეებს ექნებათ შესაძლებლობა ნებისმიერ სტადიაზე დავამ გადაინაცვლოს მედიატორთან. თუ სასამართლომ თავისი დრო რეალურად მაინც დახარჯა პროცესის წარმართვაზე მაშინ აზრს მოკლებული იქნება შემდგომ დავის მედიატორისათვის გადაცემა,

---

[49] ოსტერმილერი მ. ს., სვენსონი რ. დ., დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, მერიდიანი, თბილისი 2014, 138.

[50] ყანდაშვილი ი., - საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები. სადისერტაციო მონოგრაფიული კვლევა, შედარებითი ანალიზი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი; სამეცნიერო ხელმძღვანელი ძლიერიშვილი ზ., თბილისი 2018, 55-56.

როდესაც მაინც არსებობს ალბათობა იმისა, რომ მხარეები გამოთქმული თანხმობის მიუხედავად მაინც ვერ შეთანხმდებიან მედიაციის გამოყენების მეშვეობით და კანონმდებლობით დადგენილი ვადის გასვლის შემდგომ დავა კვლავ დაბრუნდება სასამართლოში. უნდა ასრებობდეს გარკვეული დათქმა, რომ თუ მხარეები მიიღებენ გადაწყვეტილებას, დავა გადაწყვიტონ სასამართლო მედიაციის მეშვეობით, მათ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე შეეძლოთ დავის სასამართლოში განსახილველად [51]უკან დაბრუნება.[52] ასევე მნიშვნელოვანია სასამართლო მედიატორის აცილების საკითხი. კოდექსში არაფერია ნათქვამი, როგორ ხდება აცილების საკითხის დაყენება, ვის მიერ, რა ეტაპზე და გათვალისწინებულია თუ არა თვითაცილების საკითხი სასამართლო მედიატორის მიერ. [53]

სასამართლო მედიაციის პროცესში ვადების სიმცირე და დადგენილი ზღვარი მატებს მას მეტ მომხიბვლელობას. დადენილია მოკლე ვადა მედიაციის პროცესის წარმართვისათვის, რომელიც შესაძლებელია გაგრძელდეს მხარეთა შეთანხმებით. შესაძლებელია მხარეები შეთანხმდენ და მიიღონ მათთვის სასურველი შედეგი უფრო მეტად მოკლე ვადაში, მაშინ როდესაც სასამართლო წარმოება უფრო მეტ დროს მოითხოვს სასურველი შედეგების მისაღებად.[54] პროცესის ვადების სიმცირე მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს მხარეებისთვის, რომ მიმართონ დავის მედიაციის გზით მოგვარებას, რადგან სასამართლო პროცესის ხანგრძლივად გაგრძელებამ შესაძლოა შელახოს ორივე მხარის ინტერესი და მას ზიანი მიაყენოს.

---

[51] იქვე იხ. 87.

[53] დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, ,,მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში'' თბილისი 2013, 63-64.

[54] ყანდაშვილი ი., - საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები. სადისერტაციო მონოგრაფიული კვლევა, შედარებითი ანალიზი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი; სამეცნიერო ხელმძღვანელი ძლიერიშვილი ზ., თბილისი 2018, 56.

მედიაციის პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის მნიშვნელოვანია, რომ მხარეს აქვს ვალდებულება მიიღოს მონაწილეობა შეხვედრებში და თუ დაარღვევს ამ ვალდებულებას ხდება მისთვის სანქციის დაკისრება. ასევე კანონმდებელი უშვებს შესაძლებლობას, რომ თუ მხარეები შეთანხმდებიან ან საქმე სასამართლოში მორიგებით დასრულდება პირს სანქცია ჯარიმის სახით აღარ დაეკსირება. აღნიშნული შეიძლება მივიჩნიოთ მნიშვნელოვნად, რადგან კანონმდებელი მხარეს აძლევს შესაძლებლობას და შანსს, რომ კიდევ ერთხელ დაფიქრდეს მისი გადაწყვეტილების სისწორეზე, დაშვებული შესაძლო შეცდომა გამოასწოროს და ამისათვის აღარ მოხდეს მისი დასჯა. აქ მედიაციის სავალდებულო სახეზე უნდა იქნას ხაზი გასმული, რომელიც გამოიხატება შეხვედრებში სავალდებულო მონაწილეობაში და არა იმაში, რომ მოლაპარკება აუცილებლად დადებითი შედეგით უნდა დასრულდეს. [55] უნდა აღინიშნოს, რომ თუ სასამართლო მედიაციას ნამდვილად სავალდებულო სახე ექნება და მხარეებს არ ექნებათ შესაძლებლობა თავად მიიღონ კონკრეტულ დავებზე გადაწყვეტილება მედიაციის გზით საქმის მოგვარების თაობაზე, ასევე მედიატორი იქნება კვალიფიციური პირი, რომელიც მხარეებს თანაბრად დაეხმარება საკითხის სასურველი შედეგით დასრულებაში მხარეებს გაუქრებათ პროტესტის გრძნობა, რომ მათი ნებისგან დამოუკიდებლად ხდება ეს პროცესი, როდესაც დაინახავენ, რომ მედიაცია მათთვის ხელსაყრელი საშუალებაა მოკლე დროში და ნაკლები ხარჯებით მივიდენ სასურველ შედეგამდე.

სასამართლო მედიაციის შემთხვევში მისი ძლიერი მხარე არის ის, რომ მხარეთა მიერ მიღწეულ შეთანხმებას სასამართლო ამტკიცებს განჩინებით და ის აღარ საჩივრდება. მხარეები თუ შეთანხმდენ მორიგების პირობებზე, მაგრამ მეორე მხარემ შემდგომ უარი განაცხადა შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების

---

[55] ყანდაშვილი ი., - საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები. სადისერტაციო მონოგრაფიული კვლევა, შედარებითი ანალიზი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი; სამეცნიერო ხელმძღვანელი ძლიერიშვილი ზ., თბილისი 2018, 227.

შესრულებაზე, ეს არ წარმოადგენს დამაბრკოლებელ გარემოებას, რომ შეთანხმებით გათვალისწინებული პირობები არ შესრულდება. განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია ეს ნაწილი სასამართლო მედიაციის შემთხვევაში, რადგან მხარეები თუ გადაწყვეტენ საქმის სასამართლო მედიაციის გზით მოგვარებას, ისინი აქტიურად უნდა ჩაერთონ ამ პროცესში, არ უნდა გამორჩეთ არცერთი გარემოება, რომელმაც შეიძლება ეჭქვეშ დააყენოს მათი შეთანხმება. თუ მხარეები გაუაზრებლად მოეკიდებიან მედიაციის პროცესს და შემდეგ აღმოაჩენენ, რომ გარკვეული პირობა მათთვის არასასურველია, მათ არ აქვთ მითითებული პირობების გადახედვის შესაძლებლობა. კანონი მხარეს, ასევე, აძლევს შესაძლებლობას თუ მედიაციის პროცესის შედეგად მაინც ვერ შეთანხმდენ საქმის განხილვა გააგრძელონ სასამართლოსათვის[56] მიმართვის გზით. აქაც მნიშვნელოვანია ის, გარემოება, რომ დარეგულირდეს ყველა შემთხვევაში უნდა ხდებოდეს საქმის სასამართლოში გაგრძელება თუ განისაზღვროს კონკრეტული შემთხვევები, რა დროსაც იქნება მიზანშეწონილი საქმის სასამართლოში გაგრძელება. ასევე უნდა დაკონკრეტდეს საქმის დაბრუნების შემთხვევაში რა ვადებში უნდა მოხდეს საქმის განხილვის გაგრძელება.

რაც შეეხება კონფიდენციალურობის საკითხს აღნიშნული მითითებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187[8] მუხლში. მუხლის თანახმად სასამართლო მედიაციის პროცესი კონფიდენციალურია. მედიატორს არ აქვს უფლება, გაამჟღავნოს ის ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა მედიატორის მოვალეობის შესრულებისას, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი. მხარეს ან/და მის წარმომადგენელს არ აქვს უფლება, გაამჟღავნოს ის ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სასამართლო მედიაციის პროცესში იმ პირობით, რომ ეს ინფორმაცია კონფიდენციალური იქნებოდა, თუ თავად მხარეთა შეთანხმებით არ არის სხვა პირობები გათვალისწინებული. აღნიშნულ მუხლში არაფერია ნათქვამი შემთხვევებზე, თუ რა შემთხვევაში არსებობს გამონაკლისი, როდესაც შესაძლებელია

[56] დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, ,,მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში'' თბილისი 2013, 66.

კონფიდენციალურობის პრინციპის დაღვევა. აუცილებელია დეტალურად იყოს გაწერილი გამონაკლისები თუ რა შემთხვევში არის შესაძლებელი ამ პრინციპიდან გადახვევა.

მედიაციის სუსტ მხარეზე საუბრისას შესაძლებელია გამოიყოს მათი არჩევის წესი. დადგენილი კრიტერიუმები თუ როგორ ხდება მედიატორის შერჩევა არ არსებობს. [57]

მედიაციის შესახებ კანონის პროექტში არის გათვალისწინებული მედიატორის შერჩევის საკითხი [58] თუმცა პროექტი საბოლოო სახით არ არის მიღებული. ამასთანავე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ 40 საათიანი ტრენინგი[59] და სერთიფიკატის არსებობა რადმენად იძლევა იმის გარანტს, რომ მოხდება კვალიფიციური მედიატორის შერჩევა. ასევე ზოგადად არ არის ნახსენები რა პროფესიის, რა ასაკის და რა ეროვნების შეიძლება იყოს მედიატორი. ამასთანავე შესაძლებელია, რომ მედიატორი იყოს კვალიფიციური ადვოკატი, რეალურად ადვოკატის მიერ უფრო მარტივია დაიცვას ერთი მხარის ინტერესები ვიდრე ორივე მხარის თანაბრად. მისი მთელი შეგნება მიმართულია იმისაკენ, რომ მიიღოს კონკრეტული მხარისათვის სასურველი შედეგი. გადამზადების არსებობის შემთხვევაში, ასევე საინტერესოა მოხდება თუ არა ტრენინგების ჩატარება პროფესიების მიხედვით თუ არ დადგინდა კონკრეტული პროფესიების ჩამონათვალი ვისაც შესაძლებლობა ექნება იყოს მედიატორი. მედიაციის სუსტ მხარეზე საუბრისას ყურადღება აუცილებლად უნდა გავამახვილოთ მისი აღსრულების წესზე. სასამართლო მედიაციის შემთხვევაში აღსრულების პრობლემა არ დგას, [60]ხოლო კერძო მედიაციის შემთხვევაში ეს პრობლემა ნათლად[61] არის წარმოჩენილი. [62]აღსრულება დამოკიდებულია მხარეთა ნებაზე და

---

[57] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი თავი XXI[1].

[58] ,,მედიაციის შესახებ'' კანონის პროექტი, მუხლი 4.

[59] იქვე იხ., მუხლი 18.

[60] ოსტერმილერი მ. ს., სვენსონი რ. დ., დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, მერიდიანი, თბილისი 2014, 140-141.

[61] წულაძე ა., ,,სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში''. სადისერტაციო ნაშრომი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი; სამეცნიერო ხელმძღვანელი ცერცვაძე გ., თბილისი 2016,134-135

კეთილსინდისიერებაზე. მოლაპარაკების მიღწევა არ წარმოშობს გარდაუვალ შედეგს, რომ მიღწეული შეთანხმება ნამდვილად შესრულდება მხარეების მიერ. როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, უნდა არსებობდეს კანონში დათქმა იმისა, რომ მხარემ სასამართლოს კი არ მიმართოს მოლაპარაკების პირობების შესრულების მოთხოვნით, არამედ შემუშავდეს გზები, თუ როგორ უნდა მოხდეს მხარის მიერ შეთანხმებული მოლაპარაკების პირობების იძულებითი აღსრულება სასამართლოსათვის მიმართვის გარეშე.

კანონის პროექტის ძლიერ მხარეს წარმოადგენს მხარეთა ნება, მედიაციის პროცესის მცირე ვადები, ასევე მასში გაწერილია კონფიდენციალურობის პრინციპი დაცვის საკითხები და აუცილებელი შემთხვევები როდესაც საჭიროა კონფიდენციალურობის პრინციპიდან გადახვევა. ასევე კერძო მედიატორის შერჩევის მხარეების მიერ გასათვალისწინებელი კრიტერიუმები. პროექტში, ასევე, გათვალისწინებულია გარემოებები, რომლის არსებობის შემთხვევაშიც მხარეების თანხმობის მიუხედავად მან უნდა თქვას უარი[63] მედიატორის მოვალეობის შესრულებაზე.[64] აღნიშნულის გათვალისიწინება ,,მედიაციის შესახებ'' კანონპროექტში ძალიან მნიშვნელოვანია. მხარეებს ნდობა უნდა ჰქონდეთ მედიატორის მიმართ. შესაძლოა განაცხადონ თანხმობა და გამოთქვან სურვილი, რომ მედიატორმა არსებული გარემოების მიუხედავად გააგრძელოს პროცესის წარმართვა, მაგრამ შემდგომში ეჭქვეშ დააყენონ მედიტორის ნებისმიერი ქმედება და ჩათვალონ მიკერძოებად, რომელიმე მხარის მიმართ. მსგავსი შემთხვევებმა კი შესაძლოა შელახოს მედიაციის ინსტიტუტის რეპუტაცია, მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი, როგორიც არის პროცესის მიუკერძოებლობა და

---

[62] ყანდაშვილი ი., - საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები. სადისერტაციო მონოგრაფიული კვლევა, შედარებითი ანალიზი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი; სამეცნიერო ხელმძღვანელი ძლიერიშვილი ზ., თბილისი 2018, 103.

[63] ,,მედიაციის შესახებ'' კანონპროექტი მუხლი 6.

[64] ყანდაშვილი ი., - საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები. სადისერტაციო მონოგრაფიული კვლევა, შედარებითი ანალიზი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი; სამეცნიერო ხელმძღვანელი ძლიერიშვილი ზ., თბილისი 2018, 258.

მხარეთა თანასწორობა. აუცილებელია, რომ მედიატორი დამოუკიდებელი იყოს პროცესის მონაწილე მხარეებისგან ყველანაირად[65] და არ ქონდეს მას რაიმე კავშირი მხარეებთან, რომელიც მიჯაჭვულს გახდის, რომელიმე მხარესთან ნებსით თუ უნებლიეთ.

თავი III. სასამართლო მედიაციის როლი ქართული სასამართლო მედიაციის განვითარების პროცესში

3.1. სასამართლო მედიაციის არსი და მნიშვნელობა

სასამართლო მედიაციის ინსტიტუტი, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული 2012 წლის 11 იანვრიდან მოქმედებს საქართველოში. ამ ინსტიტუტის შემოღებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნა გადადგმული სასამართლოში საქმეების შემცირებასთან დაკავშირებით და სასამართლოს მისცა შესაძლებლობა სხვა უფრო მნიშვნელოვანი გადაწყევტილებების თაობაზე დრული გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით. მისი მნიშვნელობა დიდია, რადგან სასამართლო მედიაცია იძლევა შესაძლებლობას მხარეებმა მოაგვარონ მათ შორის არსებული

[65] ცერცვაძე გ., მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა) თბილისი 2010,183.

დავა მცირე დროში და ნაკლები დანახარჯებით. მოლაპარაკების გზით მიაღწიონ სასურველ შედეგს[66] და მომავალში არ გამორიცხონ მათ შორის საქმიანი ურთიერთობის გაგრძელება და ახალი საქმიანი ურთიერთობის დაწყების შესაძლებლობა. ასევე მოლაპარაკების წარმართვის და შეთანხმების მიღწევის გზით შეინარჩუნონ მათ შორის[67] არსებული ადამიანური თუ საქმიანი ურთიერთობები.[68]

3.2. სასამართლო მედიაციის სუსტი და ძლიერი მხარეები

ყველა დარგსა და მიმართულებას შესაძლოა ქონდეს სუსტი და ძლიერი მხარე. გამონაკლისს არ წარმოადგენს არც სასამართლო მედიაციის ინსტიტუტი. სასამართლო მედიაციის ინსტიტუტის ქართულ სამართლაში დამკვიდრებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნა გადადგმული სასამართლოში საქმეების შემცირებასთან დაკავშირებით და სასამართლოს მისცა შესაძლებლობა სხვა უფრო მნიშვნელოვანი გადაწყევტილებების თაობაზე დრული გადაწყვეტილების მიღებისა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მისი პოპულარიზაციის გაზრდა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან თავად ინსტიტუტის არსებობა დიდ აზრს ატარებს, მაგრამ აუცილებელია მისი აქტიური გამოყენება პრაქტიკაში. თუ არ გაიზარდა მისი ცნობადობა და პრაქტიკაში გამოყენების სიხშირე, მაშინ უბრალოდ კანონმდებლობაში არსებულ ჩანაწერად იქცევა და ის მის მთავარ მნიშვნელობას დაკარგავს. თავისი შინაარსით კი სასამართლო მედიატორისათვის დავის განსახილველად გადაცემა დიდი მნიშვნელობის მატარებელია. სასამართლო მედიაციის პროცესში მხარეებს მეტი ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან, სწავლობენ და მედიატორის დახმარებით იმუშავებენ ისეთ გზებს, რომელიც მათ

---

[66] ყანდაშვილი ი., - საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები. სადისერტაციო მონოგრაფიული კვლევა, შედარებითი ანალიზი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი; სამეცნიერო ხელმძღვანელი ძლიერიშვილი ზ., თბილისი 2018, 246.

[67]ოსტერმილერი მ. ს., სვენსონი რ. დ., დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, მერიდიანი, თბილისი 2014, 139.

[68] ყანდაშვილი ი., მედიაცია-დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ახალი ფორმა საქართველოში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ჟურნალი „ადვოკატი“, N2-3, თბილისი 2016, 116.

დაეხმარება არა მხოლოდ კონკრეტული საკითხის მოგვარებაში, არამედ სასამართლო მედიაციის პროცესში მიღებული გამოცდილება მხარეებს დაეხმარება ნებისიმიერ სიტუაციაში.

სასამართლო მედიაციის სუსტ მხარედ შეიძლება ჩაითვალოს კანონმდებლობაში არსებული დავების ჩამონათვალის სიმცირე, ამ ჩამონათვალში არ არის მითითებული, შრომითი დავები, რომელიც ძალზე ბევრია თანამედროვე საზოგადოებაში. თუმცა კანონმდებლობა უშვებს, რომ მხარეთა სურვილის შემთხვევაში ნებიმიერ დროს შეიძლება გადავიდეს დავა სასამართლო მედიატორთან. არსებული ჩანაწერი კარგი შესაძლებლობაა მხარებისათვის პროცესის დროს მიხვდენ, რომ შვიდობიანი მოლაპარაკება უფრო ეფექტური და შედეგიანი იქნება შეთანხმების მიღწევისათვის და მიიღონ გადაწყვეტილება დაიწყონ მედიაციის პროცესი. ამავე დროს აღნიშნული დებულების არსებობამ შესაძლებელია ხელი შეუშალოს სასამართლოში საქმის შემსუბუქების პოლიტიკას და სხვა საქმეებზე დროული და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესს, თუ მხარეებს ექნებათ შესაძლებლობა ნებისმიერ სტადიაზე დავამ გადაინაცვლოს მედიატორთან.[69] თუ სასამართლომ თავისი დრო რეალურად მაინც დახარჯა პროცესის წარმართვაზე მაშინ აზრს მოკლებული იქნება შემდგომ დავის მედიატორისათვის გადაცემა, როდესაც მაინც არსებობს ალბათობა იმისა, რომ მხარეები გამოთქმული თანხმობის მიუხედავად მაინც ვერ შეთანხმდებიან მედიაციის გამოყენების მეშვეობით და კანონმდებლობით დადგენილი ვადის გასვლის შემდგომ დავა კვლავ დაბრუნდება სასამართლოში.[70] უნდა ასრებობდეს გარკვეული დათქმა, რომ თუ მხარეები მიიღებენ გადაწყვეტილებას, დავა გადაწყვიტონ სასამართლო მედიაციის მეშვეობით, მათ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევში, დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე შეეძლოთ დავის სასამართლოში განსახილველად უკან დაბრუნება.

---

[69] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 187[7].

[70] დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, ,,მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში'' თბილისი 2013, 12

ასევე, მნიშვნელოვანია სასამართლო მედიატორის აცილების საკითხი. კოდექსში მითითებულია, რომ მედიატორის აცილება დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლით. კოდექსში არაფერია ნათქვამი, როგორ ხდება აცილების საკითხის დაყენება, ვის მიერ, რა ეტაპზე და გათვალისწინებულია თუ არა თვითაცილების საკითხი სასამართლო მედიატორის მიერ. შესაბამისად აღნიშნული საკითხი დასაზუსტებელია.

სასამართლო მედიაციის პროცესში ვადების სიმცირე და დადგენილი ზღვარი მატებს მას მეტ მომხიბვლელობას და უფრო მიმზიდველს ხდის სასამართლო მედიაციის პროცესის დაწყების გადაწყვეტილებას მხარეებისათვის. დადენილია 45 კალენდარული დღე მედიაციის პროცესის წარმართვისათვის, რომელიც შესაძლებელია მხარეთა შეთანხმების გაგრძელდეს მაქსიმუმ 45 კალენდარული დღე. ჯამში გამოდის, რომ მაქსიმუმ 90 კალენდარულ დღეში შესაძლებელია მხარეები შეთანხმდენ და მიიღონ მათთვის სასურველი შედეგი, მაშინ როდესაც სასამართლო წარმოება უფრო მეტ დროს მოითხოვს სასურველი შედეგების მისაღებად.[71]

მედიაციის პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის მნიშვნელოვანია, რომ მხარეს აქვს ვალდებულება მიიღოს მონაწილეობა შეხვედრებში და თუ დაარღვევს ამ ვალდებულებას ხდება მისთვის სანქციის დაკისრება. ხარჯების დაფარვა და ჯარიმა 150 ლარის ოდენობით. ასევე კანონმდებელი უშვებს შესაძლებლობას, რომ თუ მხარეები შეთანხმდებიან ან საქმე სასამართლოში მორიგებით დასრულდება პირს ჯარიმა აღარ დაეკისრება.[72] აღნიშნული შეიძლება მივიჩნიოთ მნიშვნელოვან ნაწილად, რადგან კანონმდებელი მხარეს აძლევს შესაძლებლობას და შანსს, რომ კიდევ ერთხელ დაფიქრდეს მისი

[71] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 187^5.

[72] დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, ,,მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში'' თბილისი 2013, 65.

გადაწყვეტილების მნიშვნელობაზე და სისწორეზე, ხოლო დაშვებული შესაძლო შეცდომა გამოასწოროს და ამისათვის სანქცია არ დაეკისროს.[73]

სასამართლო მედიაციის დროს, მხარეები თუ შეთანხმდენ, მაგრამ მეორე მხარემ შემდგომ უარი განაცხადა შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე, ვინაიდან შეთანხმებას სასამართლო ამტკიცებს განჩინებით და ის აღარ საჩივრდება, ეს არის გარანტია იმისა, რომ მხარეთა შორის მიღწეული შეთანხმება მხარის მიერ შეთანხმების პირობების დარღვევის შემთხვევაში მაინც შესრულდება. ასევე კანონი მხარეს აძლევს შესაძლებლობას თუ მორიგების შედეგად ვერ შეთანხმდენ საქმის განხილვა გააგრძელონ სასამართლოსათვის მიმართვის გზით.[74]

სასამართლო მედიაციაზე საუბრისას, აუცილებლად უნდა შევეხოთ კონფიდენციალურობის საკითხს. აღნიშნული მითითებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187^8 მუხლში. მითითებული მუხლის თანახმად, სასამართლო მედიაციის პროცესი კონფიდენციალურია[75]. არც მხარეებს (მათ წარმომადგენლებს) და არც მედიატორს არ აქვთ უფლება გაამჟღავნონ ის ინფორმაცია, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა სასამართლო მედიაციის მიმდინარეობის პროცესში. აღნიშნულ მუხლში არაფერია ნათქვამი შემთხვევებზე, თუ რა შემთხვევაში არსებობს გამონაკლისი, როდესაც შესაძლებელია კონფიდენციალურობის პრინციპის დაღვევა. აუცილებელია დეტალურად იყოს გაწერილი გამონაკლისები თუ რა შემთხვევში არის შესაძლებელი ამ პრინციპიდან გადახვევა, რადგან შესაძლოა ისეთი ინფორმაცია იქნეს, გაჟღერებული, პროცესის მიმდინარეობის დროს, რომელიც უფრო ღირებული სიკეთის დაცვას ემსახურება. ამასთანავე აუცილებელია, რომ მხარეები მედიატორმა გააფრთხილოს კონფიდენციალურობის პრინციპის შესაძლო

---

[73] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 187^6.

[74] ყანდაშვილი ი., - საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები. სადისერტაციო მონოგრაფიული კვლევა, შედარებითი ანალიზი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი; სამეცნიერო ხელმძღვანელი ძლიერიშვილი ზ., თბილისი 2018, 70.

[75] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 187^8.

დარღვევის თაობაზე[76] და განუმარტოს შემთხვევები, [77]თუ როდის და რა შემთხვევაში შეიძლება დაირღვეს მითითებული პრინციპი.[78]

3.3. სასამართლო მედიაციას დაქვემდებარებული დავები

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187[3] მუხლში ჩამოთვლილია სასამართლო მედიაციას დაქვემდებარებული დავები. კერძოდ, სასამართლო მედიაცია შეიძლება გავრცელდეს შემდეგი სახის დავებზე:

- ✓ საოჯახო სამართლებრივ დავებზე, გარდა შვილად აყვანასთან, შვილად აყვანის ბათილად ცნობასთან, შვილად აყვანის გაუქმებასთან, მშობლის უფლების შეზღუდვასთან, მშობლის უფლების ჩამორთმევასთან, აგრეთვე ქალთა მიმართ ძალადობასთან ან/და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული დავებისა;
- ✓ სამემკვიდრეო სამართლებრივ დავებზე;
- ✓ სამეზობლო სამართლებრივ დავებზე;
- ✓ ნებისმიერ სხვა დავაზე – მხარეთა თანხმობის შემთხვევაში.

მითითებული მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დავა შეიძლება მედიატორს გადეაცეს ნებისმიერ შემთხვევაში თუ მხარეები გამოთქვამენ თანხმობას და ეს შეიძლება მოხდეს საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე.[79] აქ ყურადღება უნდა გამახვილდეს დავის ნებისმიერ სტადიაზე საქმის განხილვის მედიატორისათვის გადაცემის თაობაზე. თუ მხარეს ნებისმიერ დროს შეეძლება საქმის განხილვა დაიწყოს მედიატორის მეშვეობით, მაშინ რატომ უნდა დახარჯოს სასამართლომ თავისი ძვირფასი დროს საქმის განხილვაზე, ხომ არ ჯობია განისაზღვოს კონკრეტული პერიოდი, როდესაც იქნება მედიატორისათვის საქმის

---

[76] წულაძე ა., ,,სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში''. სადისერტაციო ნაშრომი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი; სამეცნიერო ხელმძღვანელი ცერცვაძე გ., თბილისი 2016, 131-132.

[77] ცერცვაძე გ., მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა(ზოგადი მიმოხილვა) თბილისი 2010, 35-36.

[78] დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, ,,მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში'' თბილისი 2013, 24-25.

[79] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 187[3]

განხილვის გადაცემა შესაძლებელი. თუ სასამართლომ დახარჯა თავისი რესურსი, ჩანიშნა მოსამზადებელი სხდომა, შემდგომ მთავარი სხდომა განიხილა მტკიცებულებები და უცებ მხარემ გადაწყვიტა დაიწყოს სასამართლო მედიაცია, თან როდესაც არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ მოლაპარაკების დროს კვლავ ვერ შეთანხმდებიან და ისევ სასამართლო წარმოებაში დაბრუნდება საქმე. თავად მხარეებისთვისაც ეს პროცესი დაკავშირებული იქნება, დამატებით დროსა და ხარჯებთან. სასამართლო მედიაციისათვის საქმის გადაცემა იწვევს საქმის განხილვის შეჩერებას, გამოდის, რომ საქმის სასამართლოში დაბრუნების შემთხვევაში, იგი უნდა გაგრძელდეს იმ ეტაპიდან სადაც წარმოება შეჩერდა. ასეთ, შემთხვევაში ეს იწვევს დიდ დროს, როგორც სასამართლოსათვს, ისე მოდავე მხარეებისათვის. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში წერია, რომ ზოგადი წესების მიხედვით უნდა გაგრძელდეს საქმის წარმოება სასამრთლოში, რაც დიდ დროსა და ხარჯთან არის კვლავ დაკავშირებული. მსგავს, შემთხვევებში, უფრო პრიორიტეტული უნდა იყოს დროის ფაქტორი. არ არსებობს გამონაკლისი, რომლითაც დარეგულირდება, რომ სასამართლომ, სასამართლო მედიაციის გზით შეუთანხმებლობის შემთხვევაში, რა ვადებში და ეტაპიდან უნდა გააგრძელოს საქმის სასამართლოში განხილვა. ვინაიდან სასამართლო მედიაცია თავისი არსით ემსახურება მიზანს, რომ საქმე დროულად და ნაკლები დანახარჯით უნდა მოგვარდეს, კარგი იქნება, თუ კანონმდებლობაში მითითებული საკითხი მეტად დარეგულირდება.

ამასთანავე, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული სასურველია, თუ მითითებულ მუხლს დაემატება საკითხი შრომითი დავების გადაწყვეტის თაობაზე. [80] ვინაიდან სასამართლო მედიაციისათვის და ზოგადად მედიაციისათვის დამახასიათებელია დროის ეფექტურობა და ხარჯების სიმცირე, ხოლო სასამართლოს გზით საკითხის გადაწყვეტა დიდ დროს და ხარჯებს უკავშირდება, შრომითი დავის მხარეებისათვის ყველაზე ხესაყრელი და მისაღები ფორმა მოლაპარაკების სასურველი შედეგთ

[80] დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, ,,მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში'' თბილისი 2013, 63.

დასრულებისათვის არის სასამართლო მედიაცია. მისი პირდაპირ გათვალისწინება და სავალდებულო ხასიათს ამოქმედება, მხარებს დაეხმარება რეალურად მოკლე დროში მიიღონ სასურველი შედეგი და არც თუ ისე დიდი ხარჯის გაღება მოუწევთ. თან შრომით დავაში მონაწილე, რომელიმე მხარისათვის შესაძლოა გადამწყვეტი და სასიცოცხლო იყოს მცირე ხარჯი და დავის დროულად გადაწყვეტა, მაგ. დასაქმებულის არასწორად/უსაფუძვლოდ გათავისუფლება, რომლისთვისაც სამუშაო ადგილი და ხელფასი ძალიან მნიშვნელოვანია, ხოლო დამსაქმებლისათვის მნიშვნელოვანია საქმის დასაქმებულის სასარგებლოდ დასრულების შემთხვევაში დავის დროულად გადაწყვეტა, რადგან ხშირ შემთხვევაში დამსაქმებელს უწევს განაცდურის ანაზღაურება. სასამართლო მედიაციის შემთხვევაში კი შესაძლოა მხარეები დროულად შეთანხმდენ და ძალიან მალე მიიღონ მათთვის სასარგებლო და სასურველი შედეგი.

რაც შეეხება გამონაკლისებს თუ რომელი დავა არ შეიძლება გადაეცეს მედიატორს. აქ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ კანონმდებელმა უპირატესად მიიჩნია პიროვნება და გამონაკლისის არსებობით განმარტა, რომ პიროვნებასთან/ადამიანთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას უპირატესია მისი ინტერესების დაცვა. ამ გამონაკლისის გათვალისწინებით კანონმდებელი დიდი პასუხისმგებლობით მიუდგა პიროვნებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტას. [81]

3.4. სასამართლო მედიატორი და მისი აცილება

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში მითითებულია, რომ მედიატორის აცილება დასაშვებია 31-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლით. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს შემთხვევებს, თუ რა შემთხვევაში არ შეიძლება განიხილოს საქმე ან მონაწილეობა მიიღოს მოსამართლემ საქმის განხილვაში.

[81] დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, ,,მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში'' თბილისი 2013, 65-66.

კერძოდ, უნდა მოხდეს მოსამართლის აცილება თუ იგი:

- ✓ ამ საქმეში თვითონ არის მხარე ან მას რომელიმე მხარესთან რაიმე უფლებები ან ვალდებულებები აკავშირებს;
- ✓ ამ საქმის ადრინდელ განხილვაში მონაწილეობდა სასამართლო სხდომის მდივნად ექსპერტად, თარჯიმნად, მოწმედ, სპეციალისტად ან წარმომადგენლად, რომელიმე მხარის ან წარმომადგენლის ნათესავია;
- ✓ დაინტერესებულია საქმის შედეგით, ან თუ არსებობს სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს, რომ ის შესაძლოა მიკერძოებული იყოს.[82]

მითითებული მუხლის, მხოლოდ პირველი ნაწილი ვრცელდება აცილების თაობაზე, კოდექსში არაფერია ნათქვამი, როგორ ხდება აცილების საკითხის დაყენება, ვის მიერ, რა ეტაპზე და გათვალისწინებულია თუ არა თვითაცილების საკითხი სასამართლო მედიატორის მიერ.[83] შესაბამისად აღნიშნული საკითხი დასაზუსტებელია. მისი დაზუსტება უნდა მოხდეს ან კონკრეტულად მუხლის დამატებით სასამართლო მედიატორის თვითაცილების თაობაზე და ზოგადად გაიწეროს აცილების პროცედურები და ვის მიერ და რა გზებით ხდება აცილების საკითხის გადაწყვეტა ან გაიწეროს თუ რომელი კოდექსის ან კანონის მუხლები/პუნქტები შეიძლება გავრცელდეს მსგავსი საკითხის წარმოშობისას. აცილების საკითხის სწრად დარეგულირება და ხარეებისათვის ინფორმაციის მიწოდება უფრო მეტ ნდობას წარმოშობს სასამართლო მედიაციის მიმართ. მხარემ აუცილებლად უნდა იცოდეს, თუ რა შემთხვევეში და როგორ აქვს შესაძლებლობა მოახდინოს საქმის განმხილველი სასამართლო მედიატორის აცილების საკითხის დაყენება. თუ მოხდება აცილების გარემოებების უგულვბელყოფა და მხარეებისათვის პროცესის მიმდინარეობის დროს გახდება აცილების, რომელიმე გარემოების არსებობის შესახებ მხარეები დაკარგავენ

---

[82] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 31.

[83] ოსტერმილერი მ. ს., სვენსონი რ. დ., დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, მერიდიანი, თბილისი 2014, 65.

პრცესის მიმართ ნდობას და ეწჭვქვეშ დააყენებენ მედიატორის კვალიფიციურობისა და მიკერძოების საკითხს.

3.5. სასამართლო მედიაციის ვადები და მისი მნიშვნელობა

სასამართლო მედიაციის პროცესში ვადების სიმცირე და დადგენილი ზღვარი მატებს მას მეტ მომხიბვლელობას. დადენილია 45 კალენდარული დღე მედიაციის პროცესის წარმართვისათვის, რომელიც მაქსიმუმ 45 კალენდარული დღე შესაძლებელია გაგრძელდეს მხარეთა შეთანხმებით. ჯამში გამოდის, რომ მაქსიმუმ 90 კალენდარულ[84] დღეში შესაძლებელია მხარეები შეთანხმდენ და მიიღონ მათთვის სასურველი შედეგი, მაშინ როდესაც სასამართლო წარმოება უფრო მეტ დროს მოითხოვს სასურველი შედეგების მისაღებად. პროცესის წარმართვის ვადების სიმცირე მნიშვნელოვნად წინ გადადგმული ნაბიჯია სასამართლო მედიაციის პროცესის წარმართვისას. სასამართლო მედიაციის პროცესში მონაწილე მხარემ უნდა იცოდეს და კარგად იაზრებდეს თუ სასამართლო მედიაციის გზით საკითხის გადაწყვეტა, დიდი დროის დაზოგვასთან არის დაკავშირებული და ყველანაირად შეეცადოს გაოიყენოს დროის ეს რესურსი და პროცესი შეთანხმებით დაასრულოს. აქვე უნდა აღნიშნოს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში მეტან მნიშვნელოვანი საკითხი არის გათვალისწინებული. კანონმდებლობა მხარეებს ავალდებულებს მონაწილეობა მიიღონ და დაესწრონ მედიატორთან შეხვედრებს. დადგენილია ორი შეხვედრა, რომელშიც აუცილებლად უნდა მიიღონ მხარეებმა მონაწილეობა.[85] რა თქმა უნდა ეს ვალდებულება გულისხმობს პროცესში მონაწილეობის ვალდებულებას და არა საკითხის შეთანმხებით დასრულების ვალდებულებას. კანონმდებლობა, ასევე, ითვალისწინებს სანქციას თუ რა შედეგი შეიძლება, მოყვეს დანიშნულ შეხვედრაზე, რომელიმე მხარის გამოუცხადებლობას არასაპატიო მიზეზით.

[84] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 187[5].

[85] დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, ,,მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში'' თბილისი 2013, 65.

გათვალისწინებულია ჯარიმა 150 ლარის ოდენობით და მედიაციის ხარჯების დაფარვა მოლაპარაკების პროცესის დასრულების შედეგის მიუხედავად. თუმცა, ასევე გათვალისწინებულია გამონაკლისი თუ რა შემთხვევაში შეიძლება აღარ მოხდეს მხარის მიმართ სანქციის გამოყენება.[86] გამონაკლისის არსებობა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზსს, რომ სასამართლო მედიაციის დროს დაცულია მხარის ინტერესი და პრიორიტეტი არის პიროვნება. [87]რაც შეეხება სანქციისაგან გათავისუფლებას, ეს იმ შემთხვევაში ხდება თუ მხარეებს შორის მოლაპარაკება შედგა ან/და სასამართლოში საქმე მორიგებით დამთავრდა. [88]

მხარეები პროცესის მიმდინარეობის დროს უნდა ხედავდენ, რომ სასამართლო მედიაციისათვის, ორივე მხარე მნიშვნელოვანი და ღირებულია და ის მათი საწინააღმდეგო ქმედებებით კი არ არის დახუნძლული, არამედ მათ სასარგებლოდ არის შექმნილი და შემუშავებული.

3.5.1. სასამართლო მედიაციის ხარჯები

სასამართლო მედიაციის პროცესში მის დამატებით ეფექტურობას განაპირობებს სასამართლო ხარჯების სიმცირე, რომელიც მხარისათვის შესაძლოა პრიორიტეტული იყოს სხვა შემთხვევაში სასამართლოს გზით, არც შეეძლოს დარღვეული უფლების აღდგენისათვის ბრძოლა. სასამართლო მედიაციის დროს მხარეების მიერ საკითხის შეთანხმებით გადაწყვეტის შემთხვევაში მოსარჩელეს უბრუნდება გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%.[89] აღსანიშნავია, ასევე, ის გარემოება, რომ სასამართლო მედიაციისათვის მიკუთვნებულ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შეადგენს დავის საგნის ღირებულების 1%. მაგრამ თუ დავის საგნის ღირებულების 1% 50 ლარზე ნაკლებია მაშინ მხარეს უწევს 50 ლარის გადახდა, რადგან მინიმალური თანხა 50 ლარს შეადგენს.[90]

---

[86] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 187[6].

[87] დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, ,,მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში'' თბილისი 2013, 66.

[88] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 187[6].

[89] იქვე იხ., მუხლი 49.

[90] იქვე იხ., მუხლი 39.

ამასთანავე მნიშვნელოვან ჩანაწერს ვხვდებით ,,მედიაციის შესახებ'' კანონის პროექტში. თუ მხარეები სასამართლო მედიაციის გზით გადაწვიტავენ შეთანხმებას, მათ არ მოუწევთ სასამართლო მედიატორისათვის დამატებითი ხარჯების გადახდის უზრუნველყოფა, სასამართლო მედიაციის პროცესში მონაწილე მედიატორებს ექნებათ ვალდებულება, რომ წლის განმავლობაში სასამართლო მედიაციის პროგრამით დადგენილ დავებზე სასამართლო მედიაციის პროცესი წარმართონ ანაზღაურების გარეშე. სასამართლო მედიატორის საქმიანობა ანაზღაურდება საქართველოს საერთო სასამართლოებისათვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებებიდან.[91] აღნიშნული ჩანაწერის ძალაში შესვლა ნამდვილად ღირებული იქნება სასამართლო მედიაციის უფრო მეტად განვითარებისათვის.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ სასამართლო მედიაციის ხარჯები ბევრად მცირე რაოდენობასთან არის დაკავშირებულ, ვიდრე სასამართლო ხარჯები.

3.5.2. სასამართლო მედიაციის დასრულების პროცესი და პროცესის კონფიდენციალურობა

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187^7 მუხლი ეხება სასამართლო მედიაციის დასრულების პროცესს. თუ მხარეები დადგენილ ვადაში შეთანხმდენ სასამართლო მედიაციის მეშვეობით, სასამართლოს გამოაქვს განჩინება მორიგების პირობების დამტკიცების შესახებ მხარის შუამდგომლობის შედეგად, რომელიც არ საჩივრდება. [92] განჩინების გასაჩივრების შეუძლებლობა არის მანიშნებელი იმისა, რომ მხარეები კარგად უნდა დაფიქრდენ მორიგების მსვლელობის პროცესში, გულისყურით მოეკიდონ პროცესს, რათა შემდგომში არ დარჩეთ გრძნობა იმისა, რომ სასურველ შედეგს ბოლომდე ვერ მიაღწიეს. მითითებული მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, კი მხარეების მიერ შეუთანხმებლობის შემთხვევაში მოსარჩელეს აქვს შესაძლებლობა მიმართონ

[91] ,,მედიაციის შესახებ'' კანონპროექტი მუხლი 11.
[92] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 187^7.

სასამართლოს საერთო წესების დაცვით.[93] აღნიშნული ჩანაწერი მნიშვნელოვანია, რადგან შეუთანხმებლობის შემთხვევაში მოსარჩელე არ კარგავს უფლებას მიმართლოს სასამართლოს. ევროპარლამენტის დირექტივის (2008/52/ECE) თანახმად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ მხარეს, რომელიც დავის მოსაგვარებლად მედიაციას მიმართავს, არ წაერთმევა უფლება სურვილის შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს [94] ან არბიტრაჟს.[95]

რაც შეეხება კონფიდენციალურობის საკითხს აღნიშნული მითითებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187[8] მუხლში. მუხლის თანახმად, სასამართლო მედიაციის პროცესი კონფიდენციალურია. [96] არც მედიატორს და არც პროცესის მხარეებს არ აქვთ უფლება გაამჟღავნონ პროცესის მიმდინარეობის დროს მათთვის ხელმისაწვდომი ინფორმაცია თუ მხარეები განსხვავებულ პირობებზე არ შეთანხმდებიან.[97] მხარის წარმომადგენელს, ასევე, არ აქვს უფლება, გაახმაუროს ის ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სასამართლო მედიაციის პროცესში კონფიდენციალურობის პირობით, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი. მნიშვნელოვანია, რომ მხარეებს არ ეშინოდეთ პროცესის დასრულების შემდეგ მხარეებს შორის დახურულ შეხვედრაზე განხილული საკითხის გასაჯაროების. [98] შესაძლებელია იყოს ისეთი შემთვევა როდესაც მხარე სწორედ იმიტომ ირჩევს სასამართლო მედიაციას, რომ მას იმედი აქვს და სურვილი პროცესის კონფიდენციალურობის და

---

[93] იქვე იხ., მუხლი 187[7].

[94] რედ.: ბუკია ც., პასუხისმგებელი მდივანი ჭალაგანიძე ნ., სარედაქციო კოლეგიის წევრები: წიბწივაძე ა., ხუციშვილი ვ., დოროხინა ო., კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი და საინფორმციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება: სამართლებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები, შრომები თბილისი 2016, 73.

[95] ოსტერმილერი მ. ს., სვენსონი რ. დ., დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, მერიდიანი, თბილისი 2014, 66.

[96] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 187[8].

[97] დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, ,,მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში'' თბილისი 2013, 25.

[98] წულაძე ა., ,,სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში''. სადისერტაციო ნაშრომი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი; სამეცნიერო ხელმძღვანელი ცერცვაძე გ., თბილისი 2016, 18-19.

სულაც არ უნდა დახურულ შეხვედრაზე გამჟღავნებული ინფორმაციის გახმაურება და მომავალში მის საწინააღმდეგოდ გამოყენება.[99]

საქართველოს სამოქალაქო საპროცესოკოდექსის 187[8] მუხლში არაფერია ნათქვამი შემთხვევებზე, თუ რა შემთხვევაში არსებობს გამონაკლისი, როდესაც შესაძლებელია კონფიდენციალურობის პრინციპის დარღვევა.[100] აუცილებელია დეტალურად იყოს გაწერილი გამონაკლისები თუ რა შემთხვევში არის შესაძლებელი ამ პრინციპიდან გადახვევა და მხარეები გაფრთხილებულნი იყვნენ მედიაციის პროცესის დასაწყისშივე კონფინედციალურობის პრინციპის შესაძლო დარღვევის თაობაზე.

[99] ოსტერმილერი მ. ს., სვენსონი რ. დ., დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, მერიდიანი, თბილისი 2014, 139-140.

[100] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 187[8].

თავი IV. სასამართლო მედიაცია ევროპის ზოგიერთი ქვეყნის მაგალითზე

4.1. სასამართლო მედიაცია ევროპის ზოგიერთი ქვეყნის მაგალითზე

ზოგადად საკითხის კვლევის დროს აუცილებელია, მოხდეს სხვა ყვეყნის გამოცდილების გაცნობა და გაზიარება. გაგება იმისა თუ როგორ ხდება ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში სასამართლო მედიაციასთან დაკავშირებული საკითხების დარეგულირება და სრულყოფა. იქნებ არის ისეთი დეტალები, რომელიც ქართულ კანონმდებლობას დაეხმარება სასამართლო მედიაციის განვითარება/დახვეწაში.

გერმანიაში სასამართლო მედიაციის დანერგვამდე არსებობდა მედიაციის სხვადასხვა ფორმები, და შესაბამისად თავიდან ვერ დაიმკვიდრა საკუთარი ადგილი სასამართლო მეიდაციამ საზოგადოებაში და ის არ სარგებლობდა პოპულარობით მედიაციის სხვა ფორმებისაგან განსხვავებით. ამასთანავე არ არსებობდა ისეთი, ნორმები, რომელიც თანხვედრაში იქნებოდა სასამრთლო მედიაციასთან. სასამართლო მედიაციის ნაკლებ პოპულარიზაციას ისიც,

განაპირობებდა, რომ საქმის განხილვა სასამართლოში არც თუ ისე ხანგრძლივ დროს საჭიროებდა. [101]

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი მოსამართლეებს აძლევს შესაძლებლობას მხარეები მათი სურვილის მიუხედავად მომრიგებელ მოსამართლესთან გადაამისამართონ.[102] მომრიგებელი მოსამართლე უნდა იყოს აღჭურვილი მედიატორის უნარ-ჩვევებით. მომრიგებელ მოსამართლეებს განსხვავებეით კერძო მედიაციისაგან განსხვავებით შეუძლიათ მხარეებს შესთავაზონ მორიგების მათთვის ყველაზე მისაღები პირობები.[103] კანონმდებელმა უზრუნველყო, რომ კერძო მედიაციის კვალდაკვალ მომხდარიყო მომრიგებელი მოსამართლის ინსტიტუტის დახვეწა/განვითარება, რათა მხარეებს ჰქონოდათ შესაძლებლობა სასამართლოში საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე მიემართათ მომრიგებელი მოსამართლისათვის. [104]

,,მედიაციის შესახებ'' გერმანიის კანონი მოიცავს, ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორიცაა „სერტიფიცირებული მედიატორის" ტერმინის დამკვიდრება, ის გულისხმობს, რომ სერტიფიცირებულ მედიატორს გავლილი უნდა ქონდეს სულ მცირე 120 საათიანი ინტენსიური ტრენინგ კურსი. კარგი იქნება თუ საქართველო გაითვალისწინებს აღნიშნულს და გაზრდის არსებული ტრენინგ კურსის ხანგრძლივობას. აღსანიშნავია, ის გარემოება, რომ გერმანიაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გერმანელ მედიატორებს არ მოეთხოვებოდათ რაიმე სპეციალური საგანმანათლებო პირობების დაკმაყოფილება ვიდრე არ ამოქმედდა მედიაციის შესახებ ახალი კანონი. მნიშვნელოვანია, ასევე, ის რომ

---

[101] გვენეტაძე ნ., გიცირიძე ე., თორდია ვ., მურუსიძე ლ., სოფრომაძე კ., მოსამართლეთა საქმიანობის შეფასების, სასამართლო მედიაციისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე'' გამოცემული კრებული, თბილისი 2017, 59-71.

[102] ყანდაშვილი, ირაკლი - საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადყანდაშვილი ი., - საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები. სადისერტაციო მონოგრაფიული კვლევა, შედარებითი ანალიზი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი; სამეცნიერო ხელმძღვანელი ძლიერიშვილი ზ., თბილისი 2018, 49.

[103] წულაძე ა., ,,სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში''. სადისერტაციო ნაშრომი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი; სამეცნიერო ხელმძღვანელი ცერცვაძე გ., თბილისი 2016, 53.

[104] იქვე იხ., 53.

მედიაციის პროცესის მიმდინარეობისას ჩერდება ხანდაზმულობის ვადა. ასევე ხდება უზრუნველყოფა მედიაციის შედეგად დადებული ხელშეკრულების შესრულებისა.[105]

სასამართლო მედიაციის მიმდინარეობის დროს გერმანიაში, მხარეებს მათგან დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, პირის ჩართულობით შეუძლიათ აწარმოონ მედიაციის პროცესი. კანონმდებლობა, უშვებს შესაძლებლობას, როდესაც პირდაპირ მოსამართლის მიერ ხდება მედიაციის განხორციელება. ამასთანვე განსაზღვრავს, რომ მედიაციის მეშვეობით შეუთანხმებლობის შემთვევაში, საქმის სასამართლოში დაბრუნების დროს იგი საქმის განმხილველ მოსამართლედ აღარ გვევლინება. გერმანიაში ხშირია, შემთხვევები, როდესაც მოსამართლეები კარიერის დასრულების შემდეგო ირგებენ სასამართლო მედიატორის ფუნქციებს. ასევე ყურადღება უნდა გამახვილდეს, რომ თავად მოსამართლის მიერ მედიაციის პროცესის წარმართვა გარკვეულ რისკებთან იყოს დაკავშირებული. კერძოდ მოსამართლე მასზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების შესრულების დროს უნდა იყოს პირდაპირი და თამამი მიდგომებში, მაშინ როდესაც მედიაციის პრცესის წარმართვისას ის მსგავსი ფუნქციებით არ არის აღჭურვილი. [106]

აღსანიშნავია, ასევე, ის გარემოება, რომ გერმანიამ დააგვიანა ევროპული დირექტივის შიდა კანონმდებლობაში ასახვა, თუმცა აღნიშნული გამოიწვია იმ ობიექტურმა რეალობამ, რომ გერმანია ცდილობდა ეპოვნა ისეთი ფორმა და მიდგომა მედიაციის საშუალებით დავების გადაწყვეტისა, რაც კარგად იქნებოდა გააზრებული და გამოყენებული პრაქტიკაში.

გერმანიაში ერთმანეთისგან განასხვავებენ, მედიაციის სამ სახეს ესენია: ა) კერძო მედიაცია (private mediation); ბ)სასამართლოსთან დაკავშირებული მედიაცია (court-annexed mediation, auβergerichtliche Mediation/extrajudicial mediation) და

---

[105] დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, ,,მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში'' თბილისი 2013, 55-56.

[106] ყანდაშვილი ი., - საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები. სადისერტაციო მონოგრაფიული კვლევა, შედარებითი ანალიზი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი; სამეცნიერო ხელმძღვანელი ძლიერიშვილი ზ., თბილისი 2018, 38.

უშუალოდ გ)სასამართლო მედიაცია (Judicial Mediation/Gerichtsinterne Mediation. კერძო მედიაციის შემთხვევაში, ის სრულიად დამოუკიდებელია სამართლო წარმოებისაგან და სასამართლოსგან. სამართლოსთან დაკავშირებული მედიაცია ინსტიტუციურად კავშირშია სამართლოსთან, მაგრამ ამავე დროს აბსოლიტურად დამოუკიდებელია მისგან. რაც შეეხება სამართლო მედიაციას ის დაკავშირებულია სასამართლოსთან, მხოლოდ პერსონალისა და შენობის თვალსაზრისით, მაგრამ მედიატორის ქმედება არ უკავშირდება რაიმე სახის მბოჭავი გადაწყვეტილების მიღებას. [107]

არსებობს შემთხვევები, როდესაც ფედერალური სასამართლოს დონეზე გარკვეული სახის სარჩელები ექვემდებარებიან სავალდებულო მედიაციას, კერძოდ, როდესაც განსახილველი საქმის დავის საგნის ღირებულება არ აღემატება 750 ევროს, ასევე, სამეზობლო დავის შემთხვევაში ან თუ დავა ეხება ისეთ საკითხს, რომელიც მედიის მეშვეობით არ გამჟღავნებულა ან/და თუ საქმე მხარეებს შორის უფლებრივ უთანასწორობას ეხება.[108].

სასამართლოებთან არსებული სასამართლო მედიაციის საპილოტე პროგრამები არის უფასო, აღნიშნულზე არსებობს გერმანიის იურიდიულ პროფესიაში განსხვავებული აზრი. ადვოკატებს მიაჩნიათ, რომ მითითებული ფორმა სასამართლო მედიაციის წარმოების არის ხელის შემშლელი კერძო მედიაციის დანერგვისა და განვითარებისათვის. მათი აზრით თუ მხარეებს ექნებათ შესაძლებლობა უფასო მომსახურება მიიღონ, მათმეტი ინტერესი ექნებათ და რა თქმა უნდა გამოიყენებენ სასამართლო მედიაციას [109] კერძო მედიაციის ნაცვლად.[110] თუმცა გერმანელ მოსამართლეებს მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სერვისი უფასოა, მათი

---

[107] იქვე იხ., 183-184.

[108] Bamberger H.G., Mediation und Justiz in Haft F., von Schlieffen K.G., Handbuch Mediation, C.H.Beck, Munchen, 3.Auflage, 2016, 243.

[109] ყანდაშვილი ი., - საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები. სადისერტაციო მონოგრაფიული კვლევა, შედარებითი ანალიზი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი; სამეცნიერო ხელმძღვანელი ძლიერიშვილი ზ., თბილისი 2018, 206.

[110] Gläβer U., Schroeter K., Gerichtliche Mediation: Grundsatzfragen, Etablierungsverfahrungen und Zukunftsperspektiven, Nomos, 2011, 14.

უმეტესობა გადის მედიაციის ფასიან კურსებს, რათა სრულყოფილად და პროფესიონალურად შეასრულოს მედიატორის ფუნქცია-მოვალეობები. აღსანიშნავია, რომ სასამართლო მედიაციის პროცესში ყველა მოსმენას უძღვის წინ ე.წ. კონსილიაციის პროცესი[111], ამ დროს მოსამართლე ცდილობს შედგეს მხარეთა შორის შეთანხმება და მათ მიაღწიონ მათთვის სასურველშედეგს. [112]

2011 წელს საფრანგეთის მთავრობამ დაამტკიცა კანონი N2011-1540 და მისი დამტკიცებით უზრუნველყო მედიაციის შესახებ ევროპული დირექტივის ფრანგულ კანონმდებლობაში[113] ასახვა[114]. საფრანგეთში მედიაციის ორი ფორმა გვხვდება: ესენია[115], კერძო მედიაცია/სახელშეკრულებო მედიაცია და სასამართლოსთან არსებული მედიაცია[116] .

მხარეებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ მიმართონ კერძო მედიაციას და თავად აირჩიონ მედიატორი თუ სამედიაციო ცენტრი. რაც შეეხება სასამართლოსთან არსებული მედიაციის გამოყენების შესაძლებლობას, ეს მთლიანად დამოკიდებულია მხარეთა ნებაზე, რომლებიც არიან ჩართული სასამართლო დავაში. ასეთ დროს მოსამართლე მხარეების სურვილის შესაბამისად და გათვალისწინებით არჩევს მედიატორს და უზრუნველყოფს საქმის მედიატორთან

---

[111] Groß M., IP-/IT-Mediation, 2.Auflage, Deutschen Fachverlag GmbH, Fachmedien Recht und Wirtschaft, Frankfurt am Main, 2013, 50 – 51.

[112] ყანდაშვილი ი., - საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები. სადისერტაციო მონოგრაფიული კვლევა, შედარებითი ანალიზი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი; სამეცნიერო ხელმძღვანელი ძლიერიშვილი ზ., თბილისი 2018, 187.

[113] Betto J.G., Canivet A., France in Palo G.D., Trevor M.B., EU Mediation-Law and Practice, Oxford University Press, Oxford, 2012,112.

[114] ყანდაშვილი ი., - საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები. სადისერტაციო მონოგრაფიული კვლევა, შედარებითი ანალიზი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი; სამეცნიერო ხელმძღვანელი ძლიერიშვილი ზ., თბილისი 2018, 204.

[115] Deckert K., Mediation in France, in Hopt J.K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013, 457.

[116] ყანდაშვილი ი., - საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები. სადისერტაციო მონოგრაფიული კვლევა, შედარებითი ანალიზი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი; სამეცნიერო ხელმძღვანელი ძლიერიშვილი ზ., თბილისი 2018, 204.

გადამისამართებას. საქმის მედიატორთან გადამისამართების შემთხვევაში ხდება სასამართლო წარმოების შეჩერება მედიაციის ვადით. [117]

საფრანგეთში სასამართლო მედიაციას სასამართლოს აქტიური მხარდაჭერა აქვს.[118] შესაძლებელია ითქვას, ისიც, რომ საგადასახადო და სისხლის სამართლის პროცესებში მედიატორის ჩარევა არ წარმოადგენს საფრანგეთში პრობლემას. .[119]

აღსანიშნავია, რომ საფრანგეთში მხარეთა ნების გამოხატვას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სასამართლო მედიაციის დროს. მოსამართლე მხოლოდ მხარეთა ნების საფუძველზე გადასცემს დავას მის მიერ შერჩეულ მედიატორს. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ არ ხდება მედიატორის შერჩევის დროს მხარეთა ნების და მოსაზრებების გათვალისწინება. მოსამართლე საქმის მედიატორისათვის გადაცემის შემდეგ, მედიატორს და მხარეებს განუსაზღვრავს, ვადას, რა დროშიც უნდა განხორციელდეს მედიაცია. მოლაპარაკების დადებითი შედეგით დასრულების შემთხვევაში სასამართლოში საქმის წარმოება შეწყდება, ხოლო მხარეების შეუთანხმებლობის შემთხვევაში ხდება საქმის განხილვის გაგრძელება. მნიშვნელოვანია, რომ კონკრეტულ დავებზე, კერძოდ სამოქალაქო და სავაჭრო საქმეებზე მედიაციის პროცესის დაწყება სააპელაციო და საკასაციო სასამართლოშიც არის შესაძლებელი. სასამართლო მედიაციის ფრანგული მოდელი არ ითვალისწინებს მედიატორის უფლებას შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში საქმის წარმოება შეწყვიტოს. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო და როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული წყვეტს წარმოებას. საფრანგეთში მოსამართლეს შეუძლია დააყენოს საქმის მედიატორისათვის გადაცემის საკითხი, რა თქმაუნდა მხარეთა თანხმობის შემთვევაში, მათი სურვილის გათვალისწინებით შეარჩიოს მედიატორი და განსაზღვროს მედიატორის ანაზღურების ოდენობა. მედიატორი თავის მხრივ ვალდებულია მედიაციის

---

[117] იქვე იხ., 204.

[118] ცერცვაძე გ., მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა(ზოგადი მიმოხილვა) თბილისი 2010, 106.

[119] დაწვრილებით ***Deckert, Katrin,*** Mediation in Frankreich -- Rechlitcher Rahmen und Praktische Erfahrungen, in:***Hopt, Klaus,J./Steffek, Felix,*** Mediation, Rechtstatsachen, Rechtsvergleich, Regelungen, "Mohr Siebeck", Tübingen, 2008, s.230-232.

პროცესის მიმდინარეობისას წარმოშობილი სირთულეების შემთხვევაში აცნობოს სასამართლოს.[120] მხოლოდ მოსამართლეს შეუძლია მედიაციის შედეგად მიღწეულ შედეგთან დაკავშირებით მიიღოს გადაწყვეტილება და იგი გახადოს სავალდებულო მხარეთათვის შესასრულებლად[121] მხარეს უფლება აქვს მედიაციის პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოითხოვოს შეთანხმების შეთანხმების იძულებითი აღსრულება.[122] მხარეებს უფლება აქვთ მოსამართლეს თავად შესთავაზონ, რომ სურთ საქმის მედიაციის გზით მოგვარება, თუმცა გადაწყვეტილება იღებს მოსამართლე საქმე დასრულდება თუ არა მედიაციის გამოყენების გზით. [123]

აღნიშნულიდან გამომდინარე იკვეთება მოსამართლის განსაკუთრებული როლი მედიაციის წარმართვის დროს, მასზეა დამოკიდებული საბოლოო ჯამში საკითხი გადაწყდება თუ არა მედიატორის მეშვეობით. რაც შეეხება მედიატორს, მან ხელი უნდა შეუწყოს საკითხის ორივე მხარისათვის დადებითი შედეგით დასრულებას.[124]

ფრანგი მოსამართლეს განსაკუთრებულ როლს, ასევე განაპირობეს, მისი შესაძლებლობა მედიაციის პროცესი შეწყვიტოს ნებისმიერ დროს, თუ მიიჩნევს, რომ ამ პროცესის სათანადოდ წარმართვა უშედეგო და აზრს მოკლებულია. გერმანულ დოქტრინაში ეს მედიაცია კვალიფიცირებულია როგორც gerichtsnahe mediation. ამ დროს მიუთითებენ ხოლმე, რომ საფრნაგეთში

---

[120] ცერცვაძე გ., მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა(ზოგადი მიმოხილვა) თბილისი 2010, 131.

[121] ***Deckert, Katrin,*** Mediation in Frankreich -- Rechlitcher Rahmen und Praktische Erfahrungen, in: ***Hopt, Klaus,J./Steffek, Felix,*** Mediation, Rechtstatsachen, Rechtsvergleich, Regelungen, "Mohr Siebeck", Tübingen, 2008, s.192-193.

[122] იქვე იხ., 218.

[123] იქვე იხ., 211.

[124] ცერცვაძე გ., მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა(ზოგადი მიმოხილვა) თბილისი 2010, 130 -132.

სავაჭრო და სამოქალაქო საქმეებზე gerichtsnahe mediation [125] ანუ სასამართლოსთან ახლოს მყოფი მედიაცია არ არსებობს.[126]

სასამართლოსთვის ხშირად სირთულეს წარმოადგენს ისეთი კვალიფიკაციის და ცოდნის მედიატორის შერჩევა, რომლის მონაცემები შესაბამისობაში იქნება დავის სირთულესთან. აღნიშნული პრობლემის მოგვარების მიზნით, საფრანგეთში სასამართლოები აწარმოებენ მედიატორთა სიებს, სადაც უთითებენ იმ მონაცმებს, რომელიც დაეხმარება მოსამართლეს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მედიატორის შერჩევაში.[127] შესაბამისად, მედიატორის შერჩევა აღარ წარმოადგენს სირთულეს და დავის სპეციფიკიდან გამომდინარე მოსამართლისათვის უფრო ადვილი ხდება მხარეთათვის მედიატორის შეთავაზება.[128]

საფრანგეთში აუცილებლობას წარმოადგენს მედიაციის წარმოების ტექნიკის, ტაქტიკის და მეთოდების ცოდნა. მედიაციის ცენტრები აქტიურად თანამშრომლობენ უნივერსიტეტებთან, საადვოკათო ფირმებთან, ან/და სასამართლოებთან და მათთან ერთად ხშირად ატარებენ ტრეინინგებს, რომელიც უზრუნველყოფს მედიატორისათვის საჭირო განათლებისა[129] და პრაქტიკული ცოდნის მიღებას.[130]

მედიატორი უნდა იყოს ნეიტრალური და მიუკერძოებელი პირი. მან უნდა შეინარჩუნოს ნეიტრალურობა, სუბიექტური და ობიექტური მნიშვნელობით. ობიექტურ მნიშვნელობა გულისხმობს, რომ მედიატორის მხრიდან არ ქონდეს ადგილი რაიმე სახის მიკერძოებას, სუბიექტურობაში კი იგულისხმება, რომ

---

[125] იქვე იხ., 132.

[126] ***Deckert, Katrin,*** Mediation in Frankreich -- Rechlitcher Rahmen und Praktische Erfahrungen, in: ***Hopt, Klaus,J./Steffek, Felix,*** Mediation, Rechtstatsachen, Rechtsvergleich, Regelungen, "Mohr Siebeck", Tübingen, 2008, s.194.

[127] *იქვე იხ.,* 214.

[128] ცერცვაძე გ., მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა(ზოგადი მიმოხილვა) თბილისი 2010, 132.

[129] ცერცვაძე გ., მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა(ზოგადი მიმოხილვა) თბილისი 2010, 183.

[130] ***Deckert, Katrin,*** Mediation in Frankreich -- Rechlitcher Rahmen und Praktische Erfahrungen, in: ***Hopt, Klaus,J./Steffek, Felix,*** Mediation, Rechtstatsachen, Rechtsvergleich, Regelungen, "Mohr Siebeck", Tübingen, 2008, s.242.

მედიატორმა უნდა უზრუნველყოს პროცესის წარმართვა ისე, რომ მედიაციის პროცესში მონაწილე მხარეებს არ ქონდეთ განცდა და ეჭვი იმისა, რომ მედიატორი მათ არათანაბარ პირობებში აყენებს და რომელიმე მხარის სასარგებლოდ არის მიკერძოებული. აღნიშნულის უზრუნველყოფა ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების არის შესაძლებელი.[131]

მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს, რომ საფრანგეთში ხდება მედიაციის პროცესის მიმდინარეობის დამადასტურებელი ოქმის შედგენა. ოქმი შედგენა ემსახურება, მხოლოდ მხარეების პირად სარგებლობას და ოქმში ასახული ნებისმიერი საკითხი კონფიდენციალურია. [132] აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ რომელიმე მხარე დაარღვევს ოქმის შინაარსის კონფიდენციალურობას, მას მოჰყვება შესაბამისი სამართლებრივი შედეგები. [133]

მედიაციის პროცესის მსვლელობის დროს ოქმის წარმოება აუცილებელია, რადგან მასში ასახული ინფორმაცია მხარეებს აწვდის დეტალურ ინფორმაციას მათ მიერ დაფიქსირებული პოზიციების შესახებ და ეხმარება მათ [134] შეხვედრებზე დაფიქსირებული შედეგების შეჯამებაში.[135]საბერძნეთში მედიაციის შესახებ კანონი 2010 წელს იქნა მიღებული, აღნიშნული წარმოადგენდა ევროპული დირექტივის მიღების შედეგს. თუმცა დიდად მედიაციას გამოყენება არ ხდება.[136]

---

[131] ცერცვაძე გ., მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა(ზოგადი მიმოხილვა) თბილისი 2010, 183.

[132] ***Deckert, Katrin,*** Mediation in Frankreich -- Rechlitcher Rahmen und Praktische Erfahrungen, in: ***Hopt, Klaus,J./Steffek, Felix,*** Mediation, Rechtstatsachen, Rechtsvergleich, Regelungen, "Mohr Siebeck", Tübingen, 2008, s.217.

[133] ცერცვაძე გ., მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა(ზოგადი მიმოხილვა) თბილისი 2010, 241.

[134] ***Schmidt, Frank, H.*** Erfahrungen aus der anwaltlichen Meditation, in: ***Greger, Reinhard,/ Unberath, Hannes,/(Hrsg.)*** Die Zukunft der Mediation in Deutschland, "Beck" München, 2008, s.129.

[135] ცერცვაძე გ., მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა(ზოგადი მიმოხილვა) თბილისი 2010, 241.

[136] ყანდაშვილი ი., - საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები. სადისერტაციო მონოგრაფიული კვლევა, შედარებითი ანალიზი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი; სამეცნიერო ხელმძღვანელი ძლიერიშვილი ზ., თბილისი 2018, 208.

მედიაციის ორი ფორმა არსებობდა საბერძნეთში ესენია: კერძო მედიაცია (private mediation); ბ)სასამართლოსთან არსებული მედიაცია (court-annexed mediation). აღნიშნული ფორმების პარალელურად, საბერძნეთში სასამართლო მედიაციის ფორმა არ იყო გათვალისწინებული კანონმდებლობაში. 2013 წელს მოხდა სასამართლო მედიაციის დანერგვა და მოსამართლეებს მიეცათ უფლება შეეთავსებინათ მედიატორის ფუნქცია-მოვალეობები. [137] საბერძნეთში სავალდებულო მედიაციას ექვემდებარება გაკოტრების საქმისწარმოება, კოლექტიური შრომითი დავები და სამომხმარებლო დავები. [138]

უნგრეთში 2002 წელს იქნა მიღებული მედიაციის შესახებ კანონი. შემდგომში შევიდა ცვლილებები, რაც რაც ევროპული დირექტივა ამოქმედდა ქვეყანაში და განისაზღვრა დავების ჩამონათვალი, რომელიც შეიძლება მედიაციას დაექვემდებაროს, ესენია: სამედიცინო, სამომხმარებლო დავები, ასევე სამეწარმეო და საოჯახო შინაარსის მატარებლი დავები. [139]

რაც შეეხება უნგრეთს დღეისათვის უნგრეთში მეიდაცია არ არის ფართოდ გამოყენებადი. ეს ეხება, როგორც კერძო ისე სასამართლო მედიაციას. მკვლევრების აზრით მედიაციის ინსტიტუტის სისუსტეს და მის პრაქტიკაში გამოუყენებლობას განაპირობებს, ის რომ არ არის უნგრეთში ძლიერი ინსტიტუციები, რომელიც უზრუნველყოფს კვალიფიციური მომსახურების უზრუნველყოფას. აღნიშნული კი განპირობებულია მედიაციის სფეროში მოქმედი ძლიერი ინსიტიტუციების ნაკლებობით.[140] სასამართლო მედიაციის განვითარებისათვის და ხელშეწყობისთვის საჭიროა კვალიფიკაციური კადრების

---

[137] იქვე იხ., 209.

[138] Anthimos A., Greece in Palo G.D., Trevor M.B., EU Mediation-Law and Practice, Oxford University Press, Oxford, 2012,150.

[139] ყანდაშვილი ი., - საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები. სადისერტაციო მონოგრაფიული კვლევა, შედარებითი ანალიზი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი; სამეცნიერო ხელმძღვანელი ძლიერიშვილი ზ., თბილისი 2018, 210.

[140] ყანდაშვილი ი., - საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები. სადისერტაციო მონოგრაფიული კვლევა, შედარებითი ანალიზი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი; სამეცნიერო ხელმძღვანელი ძლიერიშვილი ზ., თბილისი 2018, 210.

მოძიება და მომზადება და მისი პოპულარიზაციის გაზრდა, ასევე კანონმდებლობის დონეზე, მასთან დაკავშირებული საკითხების დეტალურად გაწერა და დაკონკრეტება.

იტალიამ 2003 წლიდან მიიღო კანონი მედიაციის შესახებ და მედიაციას დაუკავშირა სამეწარმეო და ფინანსური დავები. ევროპული დირექტივის ძალაში შესვლის შემდეგ იტალიამ დაამტკიცა მედიაციის შესახებ საკანონმდებლო დეკრეტი (Decree 28/20101148) და სამოქალაქო და კომერციული დავების განხილვა სავალდებულო მედიაციას დაუქვემდებარა. აღნიშნული გადაწყვეტილებით იტალია შეეცადა გადაეწყვიტა ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც დაკავშირებული იყო ხანგრძლივ სასამართლო პროცესებთან. [141] იტალიის სახელწმიფოს ქმედება მნიშვნელოვნად წინ გადადგმული ნაბიჯი იყო სასამართლო საქმიანობის განმუხტვის თვალსაზრისით.

იტალიაში მოქმედებს მედიაციის ორი სახე, ესენია: ა) კერძო მედიაცია (private mediation); ბ)სასამართლოსთან არსებული მედიაცია (court-annexed mediation). [142]

სასამართლო მედიაცია, იატლიაში არ არსებობს იმ სახით, რომელიც ცნობილია და მოქმედებს საქართველოში. იტალიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, მხოლოდ სასამართლო მედიაციის მსგავსი პროცედურა არის გათვალისწინებული. მითითებული კოდექსის შესაბამისად, საქმის განმხილველ მოსამართლეს აქვს შესაძლებლობა უზრუნველყოს მხარეებს შორის შემათანხმებელი პროცედურები მხოლოდ მცირე მნიშვნელობის მქონე საოჯახო და შრომით დავებზე. აღნიშნული გულისხმობს, რომ საქმის განმხილველი მოსამართლე უშუალოდ დავის არსებითი განხილვის დაწყების ეტაპამდე უზრუნველყოფს მოდავე მხარეებთან შემათანხმებელი პროცესის გამართვას, რაც თავისი ბუნებით უფრო სასამართლოში მორიგებას გავს, ვიდრე სასამართლო მედიაციას.[143] აღნიშნულიდან გამომდინარე

[141] იქვე იხ., 213.
[142] იქვე იხ., 214.
[143] ყანდაშვილი ი., - საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები. სადისერტაციო მონოგრაფიული კვლევა,

შესაძლოა ითქვას, რომ ეს არ არის იმ დატვირთვის და შინაარსის მატარებელი, რასაც გულისხმობს სასამართლო მედიაცია თავისი არსით. მოსამართლე უბრალოდ სხდომაზე სთავაზობს მხარეებს, ხომ არ მორიგდებიან და საქმე მორიგებით დასრულების შესაძლო საკითხს განიხილავს, მაშინ როდესაც სასამართლო მედიაციის შემთხვევაში მოსამართლე სთავაზობს მხარეებს დავის მედიატორისათვის გადაცემის შესაძლებლობას და თანხმობის შემთხვევაში საქმის განხილვა გრძელდება სასამართლო მედიატორის მიერ მოსამართლისგან დამოუკიდებლად.

მნიშვნელოვანია განვიხილოთ ავსტრიის მაგალითი, რომელიც იყო ალბათ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საინტერესო ძალისხმევა, რომ მედიატორობა ავსტრიაში პროფესიად ქცეულიყო. აღნიშნულიდან გამომდინარე, მედიატორის სტატუსის მატარებელი შეიძლება, მხოლოდ ის პირი ყოფილიყო, რომელსაც შესაბამისი განათლება ექნებოდა მიღებული და ეს განათლება დადასტურებული იქნებოდა შესაბამისი დიპლომით. [144] მედიატორის პროფესიის რანგში აყვანა მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს და კარგი იქნება თუ ჩვენთანაც საქართველოში დაინერგება მედიატორობა პროფესიად და უფრო მეტად კვალიფიციური კადრები მომზადდება.

ავსტრიაში მედიაციის განხორციელება შეიძლება იმ საქმეებზე, რომელიც სამოქალაქო სასამრთლოს წარმოებაშია, ან მომავალში შეიძლება იყოს სასამართლოს წარმოებაში. სასამართლოს განსჯადობაში შედის საოჯახო საქმეებიც, ამიტომ სირთულეს წარმოადგენს მედიაციის სფეროს დასახელება, რომლის მიმართაც მედიაციის კანონი არ გამოიყენება. [145]

ავსტრიაში მედიაცია დაქვემდებარებულია დეტალურ სამართლებრივ რეგულაციას, კერძოდ, ის გამიჯნულია იურიდიული საქმიანობისგან.

შედარებითი ანალიზი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი; სამეცნიერო ხელმძღვანელი ძლიერიშვილი ზ., თბილისი 2018, 214.

[144] ცერცვაძე გ., მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა(ზოგადი მიმოხილვა) თბილისი 2010, 79.

[145] იქვე იხ., 79.

სამოქალაქო მედიაციის შესახებ კანონით თითქმის გათვალისწინებულია ყველა პროცედურული საკითხები, ასევე მედიატორთა ეთიკის, სტატუსის მინიჭების და შემდგომი პროფესიული განათლების სტანდარტები.[146] აღნიშნული კი წარმოადგენს მნიშვნელოვან გარემოებას, რომელიც ადასტურებს, რომ მედიაციის ინსტიტუტი მეტად განვითარებული და დახვეწილია ავსტრიაში. ავსტრიული მოდელის გამოცდილების გაზიარება და ქართულ რეალობაში დამკვიდრება დაეხამრება სასამართლო და კერძო მედიაციის დახვეწას და განვითარებას. მნიშვნელოვანია, ასევე, ის გარემოება, რომ ევროპული კანონდებლობის გამოცდილების გაზიარებისა და სხვადსხავა ნორმის ქართულ კანონმდებლობაში გადმოტანის და დამკვიდრების შემთხვევაში მოხდეს მისი შერწყმა ქართულ რეალობასთან. შესაძლოა ზოგიერთი ნორმა, რომელიც უცხო ქვეყნის კანონმდებლობაში მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებდეს და მისი გამოყენება აქტიურად ხდებოდეს, თუმცა ქართული კანონდმებლობისთვის არ იყოს ისეთივე წარმატებული და ქმედითი. გარკვეული ნორმების გადმოტანისას უნდა შეფასდეს მისი გადმოტანის მიზანშეწონილობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში და როდესაც მოხდება მისი დეტალურად შესწავლა და იმ რისკების გაანალიზება, რაც შეიძლება მოჰყვეს მის კანონმდებლობაში ასახვას, მხოლოდ მას შემდეგ უნდა განხორციელდეს მისი გადმოტანა და ქართულ რეალობასთან შესაბამისობაში მოყვანა. აღნიშნული განაპირობებს, რომ გადმოტანილ ნორმებს ჰქონდეთ ქმედითი ძალა, წინააღმდეგ შემთხვევაში გადმოტანილი ნორმები დარჩება ქაღალდეზე დაწერილად, რადგან ის დაკარგავს ქმედით სახეს.

დასკვნა

[146] ყანდაშვილი ი., - საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები. სადისერტაციო მონოგრაფიული კვლევა, შედარებითი ანალიზი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი; სამეცნიერო ხელმძღვანელი ძლიერიშვილი ზ., თბილისი 2018, 15.

სასამართლო მედიაციას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სამართალწარმოების სისტემაში. მისი არსებობა/განვითარება და პრაქტიკაში უფრო მეტად დამკვიდრება ხელს შეუწყობს სასამართლო სისტემის განტვირთვას და სხვა დავების მიმართ მის ეფექტურობას.

საკითხის კვლევის დროს გამოვლინდა სასამართლო მედიაციასთან დაკავშირებული მთელი რიგი სამართლებრივი პრობლემები, რომელიც საჭიროებს გამსწორებას და გამოსწორების საფუძველზე პროცესის უფრო მეტად სრულყოფას.

ნაშრომის კვლევისას ყურადღება მიიპყრო შემდეგმა საკითხებმა, კერძოდ ეს ეხება პროცესის კონფიდენციალურობის, მედიატორის აცილების საკითხს, მის კვალიფიკაციას, ასევე ნებისმიერ დროს საქმის სასამართლოში დაბრუნების საკითხმა და სხვა.

აუცილებელია, რომ კანონმდებლობის დონეზე დარეგულირდეს კონფიდენციალურობის პრინციპი, კონკრეტულად განისაზღვროს ის შემთხვევები, როდესაც უნდა მოხდეს ამ პრინციპიდან გადახვევა და უფრო ღირებული და მნიშვნელოვანი სიკეთის დაცვა. თუ არ მოხდება კონფიდენციალურობის პრინციპის დახვეწა და უფრო მეტად სრულყოფა მხარეებს შეიძლება გაუჩნდეთ შიში, იმისა, რომ მათ შეხვედრების დროს გამჟჟავნებული ინფორმაციის საიდუმლოება შეიძლება შეილახოს და დაკარგავენ საკითხისადმი ნდობას.

მედიატორის არჩევის საკითხის ძალზედ მნიშვნელოვანია, საჭიროა, რომ ზუსტად განისაზღვროს ის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს სასამართლო მედიატორი. მნიშვნელოვანია, რომ მხარეებს შეეძლოთ კვალიფიკაციური მედიატორის მეშვეობით საკითხის წარმატებით დამთავრება. კვალიფიციური სასამართლო მედიატორი ნიშნავს უფრო მეტ ნდობას და ბევრ პროცესს დადებითი შედეგით დასრულებულს. ასევე უნდა განისაზღვროს ის პროფესიები, რომელსაც შეუძლია, იყოს სასამართლო მედიატორი, მათი ასაკი, გამოცდილების ხანგრძლვობა. გათვალისწინებულია 40

საათიანი ტრენინგ კურსი, რომელიც ამზადებს მედიატორებს. შესაფასებელია ასეთ შემთხვევაში, თუ არ იქნა დაკონკრეტებული პროფესია, საკმარისია თუ არა 40 საათიანი ტრენინგ კურსი.[147] მხარეს აქვს შესაძლებლობა აირჩიოს თავად მედიატორი, მაგრამ მას შესაძლოა არ ქონდეს ამის ცოდნა, შესაბამისად საჭიროა კანონმდებლობის დონეზე ზუსტად დაკონკრეტდეს ყველა დეტალი, რაც საჭირო და აუცილებელია პირისათვის სასამართლო მედიატორის კვალიფიკაციის მისანიჭებლად.

ასევე, მნიშვნელოვანია სასამართლო მედიატორის აცილების საკითხის სრულყოფა. საქართველოს სამქოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს, მხოლოდ მედიატორის აცილების საკითხს, მაგრამ ვის შეუძლია საკითხის დაყენება, რა ეტაპზე და რა ფორმით კანონმდებლობაში არ არის დაკონკრეტებული. აუცილებელია აღნიშნული დაკონკრეტდეს.

ასევე სასამართლო მედიაციის სავალდებულო ხასიათის მნიშვნელობას უნდა მიექცეს ყურადღება. იმისათვის, რომ მოხდეს სასამართლოს განთვირთვა კარგი იქნება, თუ ის თავის სავალდებულო სახეს აამოქმედებს. ასევე ჩამონათვას სასურველია თუ დაემატება შრომითი დავები, რომელიც ძალიან აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს თანამედროვე საზოგადოებისათვის. სასამართლო მედიაციის პოპულარიზაციამ და მედიატორის კვალიფიკაციამ ხელი უნდა შეუწყოს მის სავალდებულო ხასიათს. მედიაციის სავალდებულოობის საკითხი ისე უნდა იქნეს საზოგადოებისათვის მიწოდებული, რომ არ გამოიწვიოს მათი გაღიზიანება. ამასთანავე კანონი უშვებს, რომ სასამართლო პროცესი ნებისმიერ დროს შეიძლება გადაიზარდოს სასამართლო მედიაციაში და ასევე მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში აძლევს მათ შესაძლებლობას ისევ სასამართლოს გზით გააგრძელონ საქმის განხილვა. ასეთ დროს საფრთხე ადგება მედიაციის მთავარ პრინციპს, ეს არის დრო და ხარჯები. აუცილებელია გაიწეროს და დეტალურად დაკონკრეტდეს შემთხვევები თუ როდის შეუძლია მხარეს, საქმის

[147] ყანდაშვილი ი., მედიაცია-დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ახალი ფორმა საქართველოში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ჟურნალი „ადვოკატი“, N2-3, თბილისი 2016, 119.

სასამართლოში განსახილველად დაბრუნება, ეს არ უნდა ხდებოდეს ყველა შემთხვევაში, არამედ უნდა შეფასდეს საკითხი ინდივიდუალურად და სასამართლოს გარეშე საკითხის გადაწყვეტა მნიშვნელოვან და გარდაუვალ ზიანს უნდა აყენებდეს მხარეს. ასევე მნიშვნელოვანია, რომ თუ საქმე სასამართლოში დაბრუნდა არ მოხდეს ასეთი პროცესის ხანგრძლივად გაწელვა. უნდა არსებობდეს ცალკეული დათქმა, რომელიც დაარეგულირებს მსგავს შემთხვევებს. თუ საქმე სასამართლოს ჩვეული სტილით გაგრძელდა გამოდის, რომ სასამართლო ცაკლე ხარჯავს დროის რესურსს, ცალკე მხარეების ხარჯავენ რესურსს და ჯანჯლდება გადაწყვეტილების მიღბის პროცესი და ასევე იზრდება ხარჯები, რომელიც მხარემ უნდა გადაუხადოს ადვოკატს. ამიტომ მითითებული საკითხის დარეგულირება კანონმდებლობის დონეზე ძალზედ მნიშვნელოვანია.

პროცესის დასრულების ეტაპზე თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული ეს ძალზედ მნიშვნელოვანი ფუნქციის მატარებელია. მნიშვნელოვანია, რომ მხარემ იცოდეს რომ ის არ კარგავს დარღვეული უფლების აღდგენის შანსს, მაგრამ დასარეგულირებელია რა სახით უნდა მოხდეს მსგავს შემთხვევებში საქმის განხილვის გაგრძელება. უნდა განისაზღვროს სასამართლო წარმოების ვადები.

მნიშვნელოვანია, რომ უფრო დეტალურად მოხდეს კანონმდებლობის გადახედვა საკანონმდებლო ორგანოს მიერ და დაიხვეწოს არსებული ხარვეზები, რომელთა გამოსწორება ხელს შეუწყობს სასამართლო მედიაციის კიდევ უფრო პოპულარიზაციის საკითხს.

გამოყენებული ლიტერატურა

ოსტერმილერი მ. ს., სვენსონი რ. დ., დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები საქართველოში, მერიდიანი, თბილისი 2014.

საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის იურიდიული ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, N4(39)13, თბილისი 2013.

დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, ,,მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში'' თბილისი 2013.

წულაძე ა., ,,სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში''. სადისერტაციო ნაშრომი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი; სამეცნიერო ხელმძღვანელი ცერცვაძე გ., თბილისი 2016.

ცერცვაძე გ., მედიაცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა(ზოგადი მიმოხილვა) თბილისი 2010.

http://www.jtconsulting-geo.com/service/mediacia/23 ბოლო ნახვა 2019.6.22.

ყანდაშვილი ი., - საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები. სადისერტაციო მონოგრაფიული კვლევა, შედარებითი ანალიზი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი; სამეცნიერო ხელმძღვანელი ძლიერიშვილი ზ., თბილისი 2018.

ჩიტაშვილი ნ., მედიაციის ეთიკის რეგულირების ფარგლები და ეთიკის სტანდარტით ბოჭვის ადრესატები, სამართლის ჟურნალი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, N1, 2016.

წულაძე ა., ქართული სასამართლო მედიაციის შედარებითი ანალიზი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი 2017.

ჭავჭავაძე ი., მომრიგებელი მოსამართლეობა ჩვენში, წერილი მეექვსე, „პუბლიცისტური წერილები“, ტ.IV, გამომცემლობა საბჭოთა საქართველო, თბ.1987.

რედ.: ბუკია ც., პასუხისმგებელი მდივანი ჭალაგანიძე ნ., სარედაქციო კოლეგიის წევრები: წივწივაძე ა., ხუციშვილი ვ., დოროხინა ო., კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი და საინფორმციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება: სამართლებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები, შრომები თბილისი 2016.

ჭავჭავაძე ი., მომრიგებელი სასამართლოების შესახებ, გაზეთი „ივერია“, #86, 22 აპრილი (სამშაბათი) 1886.

ყანდაშვილი ი., მედიაცია-დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ახალი ფორმა საქართველოში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ჟურნალი „ადვოკატი“, N2-3, თბილისი 2016.

გვენეტაძე ნ., გიცირიძე ე., თორდია ვ., მურუსიძე ლ., სოფრომაძე კ., მოსამართლეთა საქმიანობის შეფასების, სასამართლო მედიაციისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე'' გამოცემული კრებული, თბილისი 2017.

ნორმატიული მასალა

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

,,მედიაციის შესახებ'' პროექტი

უცხოენოვანი ლიტერატურა

Alan, Scott, Rau; Enward, F. Sherman; Scott, Peppet; Processes of dispute resolution the role of lawyers, fourth edition, 2006.

Gläβer U., Schroeter K., Gerichtliche Mediation: Grundsatzfragen, Etablierungsverfahrungen und Zukunftsperspektiven, Nomos, 2011.

Groß M., IP-/IT-Mediation, 2.Auflage, Deutschen Fachverlag GmbH, Fachmedien Recht und Wirtschaft, Frankfurt am Main, 2013.

Betto J.G., Canivet A., France in Palo G.D., Trevor M.B., EU Mediation-Law and Practice, Oxford University Press, Oxford, 2012.

Deckert K., Mediation in France, in Hopt J.K., Steffek F., Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford University Press, Oxford, 2013.

Deckert, Katrin, Mediation in Frankreich -- Rechlitcher Rahmen und Praktische Erfahrungen, in: ***Hopt, Klaus,J./Steffek, Felix,*** Mediation, Rechtstatsachen, Rechtsvergleich, Regelungen, "Mohr Siebeck", Tübingen, 2008, s.

Deckert, Katrin, Mediation in Frankreich -- Rechlitcher Rahmen und Praktische Erfahrungen, in: ***Hopt,***

Klaus,J./Steffek, Felix, Mediation, Rechtstatsachen, Rechtsvergleich, Regelungen, "Mohr Siebeck", Tübingen, 2008.

Schmidt, Frank, H. Erfahrungen aus der anwaltlichen Meditation, in: ***Greger, Reinhard,/ Unberath, Hannes,/(Hrsg.)*** Die Zukunft der Mediation in Deutschland, "Beck" München, 2008.

Anthimos A., Greece in Palo G.D., Trevor M.B., EU Mediation-Law and Practice, Oxford University Press, Oxford, 2012.

Bamberger H.G., Mediation und Justiz in Haft F., von Schlieffen K.G., Handbuch Mediation, C.H.Beck, Munchen, 3.Auflage, 2016.

Caponi R., „Just Settlement“ or „Just About Settlement“?, Mediated Agreements: A comparative Overview of the Basics, Rabels Zeitschrift, The Rabel Journal of Comparative and International Private Law, Max –Planck-Institute fur auslandisches und internationals Privatrecht, Mohr Siebeck, 79.Jahrgang 2015.

Schiffer K.J.(Hrsg), Mandatspraxis Sciedsverfahren unda Mediation 2. Neu bearbeitete und erweiterte

Auflage, “Carl Heymann,” Koln, Berlin, Munchen, 2005, 257-262, მითითებულია წიგნში: ცერცვაძე გ., მედიაცია, თბ., 2010, გვ. 54.